

საქართველოს ეროვნული არქივი

საისტორიო ცენტრალური არქივის
მეგობარი

წიგნის გამომცემი მუშაობდნენ
ზურაბ ჟვანია, შორენა გულიაშვილი და ნინო გელაძე

თბილისი
2018



საქართველოს
ეროვნული
არქივი

საძიებლები დაურთეს

ზურაბ ჟვანიაშვილი, შორენა გულიაშვილი და ნინო გელაშვილი

კორექტორი

მარიკა ჯანიკაშვილი

დამკაბადონებელი

ვიოლა ტულუში



**საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა**



**საქართველოს Ministry of
იუსტიციის Justice of
სამინისტრო Georgia**

წიგნში გამოყენებული მასალა დაცულია საქართველოს ეროვნულ არქივში

© ყველა უფლება დაცულია

ISBN 978-9941-8-0477-9



**საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა**

საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი წლების განმავლობაში მდიდრდებოდა როგორც პირადი, ისე დაწესებულებათა (საქმიანობის პერიოდში შექმნილი) დოკუმენტებით. „მეგზურის“ ახალი გამოცემა 1947 წლისა და 1976 წლის გამოცემების რედაქტირებული ახალი ფონდებით შევსებული ვარიანტია. „მეგზურის“ 1947 წლის გამოცემაზე მუშაობდნენ: ს. ჯანაშია, ვ. ფუტურიძე, ს. კაკაბაძე. 1976 წელს გამოცემულ მეგზურზე იმუშავეს: შ. ჩხეტიამ და ა. იოვიძემ.

წინამდებარე გამოცემაში თავმოყრილია საისტორიო ცენტრალურ არქივში დაცული 876 (რვაას სამოცდათექვსმეტი) ფონდი. გამოცემა შევსებულია ჰარვარდიდან და ლევილიდან ჩამოტანილი დოკუმენტებით. მასში აღწერილია თითოეული ფონდი, მათი შექმნის ისტორია და ქრონოლოგიური ჩარჩო.

ვიმედოვნებთ, „მეგზურის“ თანამედროვე გამოცემა მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს მკვლევარებს საისტორიო ცენტრალურ არქივში დაცული წერილობითი და დოკუმენტური მასალის გაცნობაში.





საქართველოს უმაღლესი მმართველობის საერთო კრება

ფონდის ნომერი	1	ქველი ნომერი	2	ფონდის შექმნის თარიღი	1801	შემოსვლის თარიღი	1923
აღწერების რაოდ.	1	საქმეთა რაოდ.	821	კიდური თარიღები	1801-1838	ძირითადი ენა	რუსული
ფონდშემქმნელი:							
მონაპოვრის წყარო:							
აღწერების სახელწოდება:							
შენიშვნები: მიმოხილვა, კატალოგი							

საქართველოს მმართველობის საერთო კრების სხდომათა ჟურნალები. საქართველოს მეფეთა დოკუმენტების განსახილველად დაარსებული კომისიის სხდომათა ოქმები. მოხსენებები ვახტანგ VI-ის კანონების რუსეთის იმპერიის კანონებთან შეფარდებისა და საქართველოს მმართველობის საერთო კრების გაუქმების შესახებ.

1812 წლის კახეთის აჯანყებაში მონაწილე ქართლ-კახეთის თავად-აზნაურთა სია.

მიმონერა შემდეგ საკითხებზე: ქართველი მეფეებისა და ბატონიშვილების მიერ განსაკუთრებული დამსახურებისათვის გადასახადებისაგან გასათავისუფლებლად გაცემული სიგელეებისა და ბრძანებების ნამდვილობის დადასტურება; პენსიების დანიშვნა; თავადთა მამულების შემოსავალი; სხვადასხვა პირის წარმომავლობა; ვახტანგ VI-ის კანონის შესაბამისად, მკვლელობისათვის ფულის გადახდევინება; ყოფილი ელჩის ავალიშვილისათვის მამულის დაბრუნება; ყოფილი სამეფო სახლის წევრებისათვის ფულადი ჯილდოს გაცემა; სათავადაზნაურო წიგნში ქართველ თავადთა გვარების შეტანა; საქართველოს მიწების გამიჯვნა.

მეფეების როსტომის, ერეკლე II-ის, გიორგი XII-ის, უფლისწულების ალექსანდრეს, ლევანის, თეიმურაზის, იულონის, დედოფალ დარეჯანის სიგელთა დედნები და თარგმანები.

ამიერკავკასიის მთავარმმართველის კანცელარია

ფონდის ნომერი	2	ქველი ნომერი	8, 9	ფონდის შექმნის თარიღი	1801	შემოსვლის თარიღი	1923
აღწერების რაოდ.	2	საქმეთა რაოდ.	14108	კიდური თარიღები	1801-1846	ძირითადი ენა	რუსული
ფონდშემქმნელი: დაარსდა სახელწოდებით: „საქართველოს მთავარსარდალი“, 1802 წელს ეწოდა „საქართველოს მთავარმმართველის კანცელარია“, 1840 წელს – „ამიერკავკასიის მთავარმმართველის კანცელარია“							
მონაპოვრის წყარო:							
აღწერების სახელწოდება:							
შენიშვნები: მიმოხილვა							

შემოსული და გასული ქაღალდების ჟურნალები, ა.პ. ერმოლოვის ჟურნალი, კავკასიის სა-მოქალაქო გუბერნატორისა და კასპიის ოლქის უფროსის ანგარიშები; მიმონერა აღმოსავლეთ საქართველოს, იმერეთის, სამეგრელოსა და გურიის სამთავროების რუსეთთან შეერთების შესახებ.



მოხსენებები და მიმონერა შემდეგ საკითხებზე: გარსევან ჭავჭავაძისა და საქართველოს სამეფო სახლის ნევრთა გადასახლება რუსეთში; იმერეთიდან მეფე სოლომონ II-ის გაძევება და მისი გარდაცვალება თურქეთში; საქართველოს სამეფო სახლის ნევრთათვის პენსიების დანიშვნა; მეფე გიორგი XII-ის სამეფო ტახტის მოსკოვში გატანა; რუსეთის წინააღმდეგ ქართველ თავადთა შეთქმულების მასალები; რუსეთში გადასახლებულ ქართველ უფლისწულთა და მათ ოჯახთა სია; მეფე გიორგის სამეფო რეგალიების აღწერა; იმერეთისა და კახეთის თავად-აზნაურთა სიები; უფლისწულ ალექსანდრეს მოწოდებები.

დებულებები ამიერკავკასიაში ახალი მმართველობის შემოღების შესახებ; კავკასიის საცენზურო კომიტეტის დაარსება და დებულება. საფოსტო მმართველობისა და ფინანსური დაწესებულებების დაარსება; ამიერკავკასიის ახალი ადმინისტრაციული დაყოფა; ამიერკავკასიის სტატისტიკური კომიტეტის, თბილისის თავად-აზნაურთა ყრილობის, იმერეთის დროებითი მმართველობის, სინოდის კანტორის დაარსება; საქართველოს უმაღლესი მმართველობის საერთო კრების გაუქმება; მინების გამიჯვნა; ადგილობრივ წეს-ჩვეულებებზე დამყარებული სამართალწარმოების შემოღება; სასამართლოების გახსნა, რეორგანიზაცია და გაუქმება; ვახტანგ VI-ის კანონების რუსულ ენაზე თარგმნა; სათავადაზნაურო მზრუნველობის შემოღება; სახელმწიფო ქონების მმართველობის შემოღება.

უწყება საქართველოს მაზრებად დაყოფის შესახებ და კავკასიაში მინების გენერალური გამიჯვნის წესის პროექტი. ამიერკავკასიის ქალაქების მდგომარეობის სტატისტიკური მონაცემები.

ქ.დარუბანდის აღწერილობა. პატაკები, მოხსენებები კახეთში, სამეგრელოში, იმერეთში, გურიასა და ჩეჩნეთში აჯანყებებისა და მათი მონაწილეების გადასახლების შესახებ.

მიმონერა და მოხსენებები შემდეგ საკითხებზე: შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს რუსებით დასახლება; ყარაბაღის პროვინციაში ლეკების ჩასახლება; თურქეთიდან და სპარსეთიდან ქრისტიანების ჩამოსახლება; ამიერკავკასიის მხარეში უცხოელთა კოლონიების მოწყობა; გრიბოედოვის მიერ თურქეთთან და სპარსეთთან ურთიერთობების დარეგულირება; სამთო საქმის განვითარება; აბრეშუმსახვევი ფაბრიკების მუშაობა თბილისსა და შემახში; თბილისში მანუფაქტურისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშემწყობი საზოგადოების დაარსება, მცხეთის მიდამოებში ქვანახშირის მოძიება.

საქართველოსა და კასპიის ოლქში საეროზო გადასახადების ხარჯთაღრიცხვები. კახეთის მაზრების მოსახლეობის რაოდენობა; სიღნაღის მაზრის მოსახლეობის კამერალური აღწერა; თბილისისა და ამიერკავკასიის ოლქის მოსახლეობის რაოდენობის უწყისები; პროდუქტების ფასები; საბაჟოებისა და კარანტინების დაარსება; რუსეთის წონისა და საზომი ერთეულების შემოღება; უწყებები საქართველოს ხიდების შესახებ; მეაბრეშუმეობისა და მეღვინეობის მდგომარეობა; ამიერკავკასიაში ბამბისა და სხვა კულტურების მოშენება.

კავკასიის საცენზურო კომიტეტის წესდება; ამიერკავკასიის სასწავლებლების ანგარიშები; მოხსენება თბილისის სასწავლებლების მდგომარეობის შესახებ; თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლის მასწავლებლებისა და მოსწავლეების სია; უწყება საქართველოს სასწავლებლების შესახებ; თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლის, სომხური სასწავლებლის, თბილისის მეორე გიმნაზიის გახსნა; ამიერკავკასიაში სამაზრო და სახალხო სასწავლებლების დაარსება; თბილისის საჯარო ბიბლიოთეკისა და თბილისის ობსერვატორიის გახსნა; სომხური გაზეთის გამოცემა, გაზეთ „ზაკავკაზსკი ვესტნიკ“-ის შტატების დამტკიცება. პროფილაქტიკური და ეპიდემიის საწინააღმდეგო ღონისძიებების ჩატარება; აფთიაქების დაარსება; კავკასიის მინერალური წყლების კეთილმოწყობა; ქოლერისა და შავი ჭირის ეპიდემიის შესახებ. თბილისში საქართველოს სინოდის კანტორის დაარსება; სამრევლო სკოლების გახსნა; ეკლესიების მშენებლობა.

უფლისწულ ალექსანდრეს, მეფის ასულ ქეთევანის, მამია გურიელის, გრიგოლ ორბელიანის წერილები. პეტრე ბაგრატიონის, ალექსანდრე ჭავჭავაძის, დიმიტრი ყიფიანის ავტოგრაფები. იკოლოზ ბარათაშვილის, დიმიტრი ყიფიანის, დ. ორბელიანის, დიმიტრი თუმანიშვილის ნამსახურობის სიები; გარსევან ჭავჭავაძის ნამსახურობის სია.

ფონდში მოიხსენიებიან: ხ. აბოვიანი, მ. ბროსე, ა. გრიბოედოვი, ალ. ჭავჭავაძე და სხვ.

ამიერკავკასიის სამოქალაქო მმართველობის უზროსის კანცელარია

ფონდის ნომერი	3	ძველი ნომერი	10	ფონდის შექმნის თარიღი	შემოსვლის თარიღი
				1842	1923
აღწერების რაოდ.	2	საქმეთა რაოდ.	4923	კიდური თარიღები	ძირითადი ენა
				1842-1859	რუსული
ფონდშემქმნელი:					
მონაპოვრის წყარო:					
აღწერების სახელწოდება:					
შენიშვნები:					

მიმონერა შემდეგ საკითხებზე: თბილისისა და შემახის სახაზინო პალატების გაერთიანება ამიერკავკასიის სახაზინო პალატის სახელწოდებით; ამიერკავკასიაში სახელმწიფო ქონების მმართველობის გარდაქმნა; თბილისში სახელწოდების გამგეობის დაარსება; ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ცვლილებები ამიერკავკასიაში; ქართული რაზმისა და მილიციის ჩამოყალიბება.

მოხსენებები ნუხის მაზრაში 1849 წლის ამბოხების ჩახშობაზე; უწყებები გადასახადების აკრეფის, მემამულეთა მიერ გლეხების შევიწროებისა და გაქცეულ გლეხთა მემამულეთათვის დაბრუნების შესახებ. დებულება ქ. სიღნაღის კეთილმოწყობაზე და შემახის გუბერნიის აღწერილობა; საპორტო ქალაქ ტემრიუკის დაარსება; ქ. დუშეთის გეგმის შედგენა; თბილისში „ადრეს-კანტორის“ გახსნა.

მოხსენებები, მიმონერა სასარგებლო წიაღისეულის მოძიების შესახებ, ამიერკავკასიაში მუსლიმური სასწავლებლებისა და თავისუფალი არქიტექტურული სასწავლებლის გახსნის თბილისის რუსული თეატრის დასის ჩამოყალიბების, ამიერკავკასიიდან კადეტთა კორპუსებში ბავშვების გაგზავნის, ი.კერესელიძისთვის ტიპოგრაფიის გახსნისა და ჟურნალ „ცისკრის“ გამოსაცემად ნებართვის მიცემის შესახებ.

დღიური ყიფიანის ნამსახურობის სია

კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარია

ფონდის ნომერი	4	ძველი ნომერი	30	ფონდის შექმნის თარიღი	შემოსვლის თარიღი
				1845	1923
აღწერების რაოდ.	9	საქმეთა რაოდ.	12385	კიდური თარიღები	ძირითადი ენა
				1845-1858	რუსული
ფონდშემქმნელი:					
მონაპოვრის წყარო					
აღწერების სახელწოდება: აღნ.1 -სასამართლო განყოფილება, აღნ.2.-სამეურნეო განყ., აღნ. 3.-საფოსტო განყ., აღნ. 4.-სახაზინო განყ., აღნ. 5.-სასოფლო-სამეურნეო და სამთო წარმოება;, აღნ. 6.-საკარანტინო და საბაჟო განყ., აღნ. 7-სამდივნო, 8.-საიდუმლო განყ., 9.-მეცხრე განყ.					
შენიშვნები: მიმოხილვა					

გურიაში სამხედრო-სახალხო მმართველობისა და კავკასიის მეფისნაცვლის მთავარ სამმართველოს საბჭოს დაარსების პროექტები. მიმონერა ქუთაისის გუბერნიაში საერობო პოლიციის ადგილობრივი მმართველობის რეორგანიზაციის, ქუთაისში სათავადაზნაურო დეპუტატთა საბჭოსა და კომერციული სასამართლოს დაარსების შესახებ. ცნობები ვორონცოვის კავკასიის მეფისნაცვლად დანიშვნის თაობაზე.

1847 წელს ნახიჭევანის მაზრის მდგომარეობის მიმოხილვა; სტატისტიკური მონაცემები ანაპის მიდამოებში მცხოვრებთა შესახებ და მათი დასახლების ისტორიული მიმოხილვა; ამიერკავკასიის გუბერნიებისა და ოლქების უფროსების ანგარიშები.

მოხსენებები, მიმონერა შემდეგ საკითხებზე: ამიერკავკასიაში დასახლებების მომწყობი კომისიის დაარსება; ამიერკავკასიაში „რასკოლნიკების“ დასახლება; გერმანული კოლონიების მოწყობა; ბრალდებულთა დასჯა; ქალების საჯარო დასჯის გაუქმება; გლეხთა აჯანყებების ჩახშობა; გაქცეულ გლეხთა ძებნა და მემამულეთათვის დაბრუნება; კავკასიის მხარეში სახელმწიფო გლეხების გადმოსახლება; გადასახადების აკრეფის უწყისები; სასარგებლო წიაღისეულის მოძიება; სამთო და მექანიკური საწარმოების საქმიანობა; მრეწველობის მდგომარეობა; ალაგირის ტყვია-ვერცხლის ქარხნის მოწყობა; საწარმოო ქარხნის მოწყობა ქალაქ თბილისში; ამიერკავკასიის 1847-1853 წლების ფაბრიკებისა და ქარხნების უწყისები; ცნობები დაღესტანსა და სომხეთში გეოლოგიური ძიებების შესახებ.

ციხლარის მეღვინეობის სასწავლებლის 1850 წლის ანგარიში; ამიერკავკასიაში ჩაის, თამბაქოს, ტექნიკური კულტურების მოშენება; არაბული ჯიშის ცხენების მოშენება; მეღვინეობისა და მეაბრეშუმეობის მდგომარეობა; შემახის გუბერნიაში არტიზიული ქების მოწყობა.

მოხსენებები, ანგარიშები, მიმონერა შემდეგ საკითხებზე: თბილისში რუსულ მანუფაქტურულ ნაკეთობათა დეპოს მოწყობა; ამიერკავკასიაში სავაჭრო სისტემის შეცვლა; საგარეო და საშინაო ვაჭრობის მიმდინარეობა; რუსი ფაბრიკანტებისა და ვაჭრების მიერ თბილისში მეორე სავაჭრო დეპოს მოწყობა; საკარანტინო-საბაჟო დანესებულებების მდგომარეობა; საზღვარზე საქონლის გადატანის წესი; კასპიისა და შავ ზღვებზე, ასევე ყუბანის რაიონში ნაოსნობის მდგომარეობა; პორტების გახსნა. კავკასიაში საფოსტო განყოფილების მდგომარეობა; საფოსტო კანტორების გახსნა; ამიერკავკასიის სასწავლებლების მდგომარეობა; გიმნაზიებისა და სასწავლებლების წესდებებში ცვლილებების შეტანა; სამაზრო და კერძო სასწავლებლების გახსნა; თბილისის სამხატვრო სკოლის დაარსება; მუსლიმური სკოლების გახსნა; საცენზურო კომიტეტის რეორგანიზაცია; ლითოგრაფიისა და ტიპოგრაფიის გახსნა; გეოგრაფიული საზოგადოების დაარსება; გაზეთების გამოცემა; თბილისის ბოტანიკური ბაღის გახსნა.

საქართველო-იმერეთის საექიმო გამგეობის 1845 წლის ანგარიში; მიმონერა ეპიდემიებთან ბრძოლისა და აფთიაქების გახსნის შესახებ; ქუთაისში ტაძრის მშენებლობა; ქრისტიანული და მუსლიმური სასულიერო სასწავლებლების გახსნა; სექტანტობის გავრცელების წინააღმდეგ ზომების მიღება.

ფონდში მოიხსენიებიან: აბიხი, ხ. აბოვიანი, ნ. ბარათაშვილი, ა. გერცენი, ნ. გრიბოედოვა, დ. დადიანი, ნ. დადიანი, პ. იოსელიანი, გ. ორბელიანი, დ. ორბელიანი, მ. ფ. ახუნდოვი, დ. ყიფიანი, ი. კერესელიძე, გ. სუნდუკიანი, ალ. ჭავჭავაძე, შამილი.

შემონახულია მეფეთა სიგელების პირები.

კავკასიის სამოქალაქო ნაწილის მთავარმმართველის მთავარი სამმართველოს უფროსის კანცელარია

ფონდის ნომერი	5	ძველი ნომერი	12	ფონდის შექმნის თარიღი	1859	შემოსვლის თარიღი	1923
აღწერების რაოდ.	1	საქმეთა რაოდ.	7520	კიდური თარიღები	1859-1883	ძირითადი ენა	რუსული
ფონდშემქმნელი: დაარსდა სახელწოდებით: „კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს უფროსის კანცელარია“. იარსება 1881 წლამდე. 1882 წელს ეწოდა „კავკასიის სამოქალაქო ნაწილის მთავარმმართველის სამმართველოს უფროსის კანცელარია. გაუქმდა 1883 წელს							
მონაპოვრის წყარო							
აღწერების სახელწოდება							
შენიშვნები: კატალოგი							

თბილისის, ელიზავეტოპოლის, ქუთაისის, სტავროპოლის, ერევნის გუბერნატორების, გორის, ლენქორანის მაზრების უფროსთა ანგარიშები. გორის მაზრის, ყუბანისა და სტავროპოლის გუბერნიების მიმოხილვა.

დებულება კავკასიის მეფისნაცვლის ინსტიტუტის შემოღების შესახებ; ამიერკავკასიის გუბერნიებში ადმინისტრაციული, სასამართლო და სამიჯნო განყოფილებების გარდაქმნის შესახებ; მიმონერა თბილისის ციხის კომიტეტის გარდაქმნისა და თბილისში სამხედრო-საოლქო სასამართლოს დაარსების შესახებ. წესები ბატონყმობისაგან განთავისუფლებული თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებისა და სამეგრელოს გლეხების შესახებ; ყუბანის ოლქის ფაბრიკებისა და ქარხნების უწყებები.

სტატისტიკური მონაცემები კავკასიის მხარის გუბერნიებისა და ოლქების მოსახლეობის რაოდენობის შესახებ; თბილისის ფიზიკური ობსერვატორიის ანგარიშები; კავკასიის საცენზო-ზურო კომიტეტის ნებართვით დაბეჭდილი ნაწარმოებების ნუსხები.

მოხსენებები, მიმონერა შემდეგ საკითხებზე: კავკასიის სამრეწველო საზოგადოების დაარსება; ამიერკავკასიის რკინიგზის მშენებლობა; ამიერკავკასიის ფინანსური მდგომარეობა; საგარეო ვაჭრობის მიმდინარეობა.

ქუთაისის სათავადაზნაურო და ბაქოს საადგილმამულო ბანკების დაარსება; ქართულ, რუსულ და სომხურ ენებზე გაზეთებისა და ჟურნალების გამოსაცემად ნებართვის მიცემა; კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის აქტების გამოცემა; ბიბლიოთეკების, ტიპოგრაფიების, ლითოგრაფიების გახსნა; სოხუმისა და დაღესტნის ოლქში კავკასიის მუზეუმისა და მეტეოროლოგიური სადგურის მოწყობა; ვლადიკავკაზის რუსული თეატრის წესდების პროექტის განხილვა; კავკასიაში ხელოვნების გავრცელების საზოგადოების დაარსება; თბილისში V არქეოლოგიური ყრილობის გახსნა; კავკასიის არქეოლოგიის მოყვარულთა საზოგადოების დაარსება; კავკასიის მინერალური წყლების მომწყობი კომიტეტის დაარსება; ლენქორანში ქოლერის ეპიდემიის შესახებ; სპარსეთის შაჰის მიერ კავკასიის მონახულება; კავკასიაში ალექსანდრე III-ის მოგზაურობის მარშრუტი.

ცნობები დიმ. ყიფიანისა და მ. ახუნდოვის შესახებ. ა. ფურცელაძის, დ. ბაქრაძის ავტოგრაფები.

**კავკასიის სამოქალაქო ნაწილის მთავარმართებლის
მთავარი სამმართველოს დეპარტამენტი**

ფონდის ნომერი 7	ძველი ნომერი 13	ფონდის შექმნის თარიღი 1868	შემოსვლის თარიღი 1923
აღწერების რაოდ 9	საქმეთა რაოდ. 10463	კიდური თარიღები 1868-1883	ძირითადი ენა რუსული
ფონდშემქმნელი: დაარსდა სახელწოდებით „კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს დეპარტამენტი“. 1882 წ-ს. ეწოდა „კავკასიის სამოქალაქო ნაწილის მთავარმართებლის მთავარი სამმართველოს დეპარტამენტი“. გაუქმდა 1883 წელს			
მონაპოვრის წყარო			
აღწერების სახელწოდება			
შენიშვნები: კატალოგი			

დებულება კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს მოწყობის შესახებ.

მოხსენებითი ბარათები, მიმონერა შემდეგ საკითხებზე: ვახტანგ VI-ის კანონების მოქმედების გაუქმება; რუსული მოსახლეობისათვის განსაკუთრებული მმართველობის დაწესება; თბილისისა და ბაქოს საკონტროლო პალატების, სააქციზო სამმართველოს, სახელოსნოების გამგეობის, თიანეთის საბოქაულოს, თბილისის სასამართლო პალატის, თბილისის საოლქო სასამართლოს, ქ.ერევნის საქალაქო საზოგადოებრივი მმართველობის დაარსება; ამიერკავკასიის სახაზინო პალატების, სასამართლო და ადმინისტრაციული დაწესებულებების რეორგანიზაცია; კავკასიისა და ამიერკავკასიის ქალაქებში 1870 წლის საქალაქო თვითმმართველობის შესახებ დებულების შემოღება; მაზრების ტერიტორიულ დაყოფაში ცვლილებების შესახებ; უცხოელების რუსეთის ქვეშევრდომებად მიღება; თურქეთიდან მცირე აზიის ბერძნების

ჩამოსახლება; გერმანული კოლონიების დაარსება; ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის დასახლება; შავიზღვისპირეთის ოლქში დასახლებული ჩეხების სიები; თბილისში 1865 წლის ამქართა გამოსვლების შესახებ; სვანეთისა და ყუბანის მაზრის ჩრდილოეთი ნაწილის მოსახლეობის აჯანყება; ბაქო-ბათუმის ნავთობსადენის მოწყობა; თბილისი-ბაქოს, როსტოვ-ვლადიკავკაზის სარკინიგზო ხაზების მშენებლობისათვის მიწის ნაკვეთის გამოყოფა; კავკასიის რკინიგზის ქსელის დამტკიცება; სამტრედია-ბათუმის სარკინიგზო ხაზის მშენებლობის დამთავრება; ამიერკავკასიაში რკინიგზის მშენებლობა. ჩათახის ქარხნის მფლობელის ვიტეს ქვრივის მოხსენებითი ბარათები; რუსეთ-საფრანგეთის ტრაქტატი ვაჭრობისა და ზღვაოსნობის შესახებ; ანგარიში საბაჟო მოსაკრებელისა და საგარეო ვაჭრობის შესახებ (1881 წ.); მიმონერა კავკასიისა და ამიერკავკასიის ქალაქებსა და სოფლებში ბაზრობების გახსნის შესახებ; ანგარიშები საერო ანაკრეფების, კავკასიის მინერალური წყლების მოწყობის ანგარიშები.

მოხსენებები, მიმონერა შემდეგ საკითხებზე: ბანკების დაარსება - გლეხთა საქალაქო საზოგადოებრივი ბანკების, თბილისის კომერციული ბანკის, ფოთის საქალაქო საადგილმამულო ბანკის, „სამხრეთის საადგილმამულო ბანკის“, კავკასიის სავაჭრო ბანკის, მოზდოკის საზოგადოებრივი ბანკის; ქუთაისის სათავადაზნაურო მიხეილის ბანკის, თბილისის სათავადაზნაურო ბანკის; ყვირილის, რუისისა და ხონის შემნახველი ამხანაგობების წესდებები. ქალაქების კეთილმოწყობა; დერბენტის პორტის მოწყობა. ამიერკავკასიაში კამერალური აღწერის ჩატარება; უწყებები დაღესტნის ოლქის, ბაქოსა და ელიზავეტოპოლის გუბერნიების მოსახლეობის რაოდენობის შესახებ. ხიდების, გზების სატელეგრაფო ხაზების მშენებლობა. ქუთაისში მასწავლებელთა სემინარიისა და ფერშალთა სკოლის დაარსება. კავკასიის ისტორიისა და არქეოლოგიის საზოგადოების, ასევე დრამატული, მუსიკალური და იურიდიული საზოგადოებების, კავკასიის ნატიფ ხელოვნებათა ნახალისების საზოგადოების წესდებათა დამტკიცება. საჯარო ბიბლიოთეკისა და კავკასიის მუზეუმის შტატებში ცვლილებების შეტანა. თბილისის პალატასთან სამიჯნო არქივის დაარსება. ბუნებისმეტყველების მოყვარულთა კავკასიის საზოგადოების დაარსება. საქველმოქმედო საზოგადოებების წესდებები; თბილისის საავადმყოფოს წესდება და შტატები. ქოლერის ეპიდემიის საწინააღმდეგოდ ზომების მიღება; ქ.ფოთში ქალაქის ექიმის თანამდებობის შემოღება; ამიერკავკასიაში სოფლის საექიმო ნაწილის მოწყობა.

დიმიტრი ბაქრაძის, დიმიტრი ყიფიანის, ანტონ ფურცელაძის ავტოგრაფები.

**კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს
საერთო საქმეთა დეპარტამენტი**

ფონდის ნომერი	8	ძველი ნომერი	28	ფონდის შექმნის თარიღი	შემოსვლის თარიღი
				1859	1923
აღწერების რაოდ	1	საქმეთა რაოდ.	6197	კიდური თარიღები	ძირითადი ენა
				1859-1868	რუსული
ფონდშემქმნელი:					
მონაპოვრის წყარო					
აღწერების სახელწოდება					
შენიშვნები:					

ანგარიშები გუბერნიების მდგომარეობის შესახებ.

დებულებები, მოხსენებები, მიმონერა შემდეგ საკითხებზე: კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოსა და ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის სამოქალაქო მმართველობის გარდაქმნა; ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის თანამდებობის აღდგენა; სტატისტიკური კომიტეტის დაარსება; ამიერკავკასიის სამიჯნო პალატის დაარსება; ქალაქების კეთილმოწყობა; ქალაქების თემრიუკის, ეისკისა და ვლადიკავკაზის დაარსება; გლეხთა აჯანყებებისა და

თბილისის მენარმეთა უკმაყოფილების შესახებ; სატრანზიტო ვაჭრობის შესახებ; ბანკებისა და საფოსტო განყოფილებების დაარსება; სატელეგრაფო ხაზების გახსნა; უცხოეთის ქვეყნებთან დადებული სატელეგრაფო კონვენციების შესახებ. არქეოგრაფიული კომისიის დაარსება; კავკასიაში სასწავლო ნაწილის სამმართველოების გარდაქმნა; სასწავლო წიგნებისა და „კავკაზსკი კალენდარ“-ის გამოცემა; მირზა ფათალი ახუნდოვის თხზულებათა დაბეჭდვა; ქალაქებში საჯარო ბიბლიოთეკებისა და კლუბების გახსნა; თბილისის სამეცნიერო ბიბლიოთეკის დაკომპლექტება; თბილისში თეატრის მოწყობა; ა. იაბლოჩკინასათვის რუსულ დასთან ერთად თბილისში ჩამოსასვლელად ნებართვის მიცემა; გერმანული დასის მიერ თბილისში სიმღერის საზოგადოების დაარსება; ქართული ლიტერატურული საზოგადოების დაარსება; სამედიცინო მმართველობის გარდაქმნა; აფთიაქების გახსნა; კავკასიის მინერალური წყლების მოწყობა; ბორჯომში მინერალური წყლით სამკურნალო დაწესებულებების მოწყობა; ამიერკავკასიაში ქოლერის ეპიდემიის შესახებ.

დებულება გაზეთ „კავკაზის“ გამოცემის შესახებ; ანგარიშები სასწავლო დაწესებულებების მდგომარეობის შესახებ;

ისტორიული ჩანაწერი სომხურ-კათოლიკური ეკლესიის შესახებ; მიმონერა ამიერკავკასიაში სომხურ-კათოლიკური ეპარქიის დაარსების შესახებ; მაჰმადიანთა მიერ სომხურ-გრიგორიანული სარწმუნოების მიღების შესახებ; ამიერკავკასიაში რომაულ-კათოლიკური მღვდლების დანიშვნის შესახებ.

მეფისნაცვალ ბარიატინსკის ნამსახურობის სია.

ფონდში მოიხსენიებიან: მ.ახუნდოვი, ე.ადაიანი, გ.იოსელიანი, ი.კერესელიძე, დ.ყიფიანი, მ.ნალბანდიანი, გ.ორბელიანი, შამილი.

კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს სამოსამართლო საქმეთა დეპარტამენტი

ფონდის ნომერი	9	ძველი ნომერი	27	ფონდის შექმნის თარიღი	შემოსვლის თარიღი
				1859	1923
აღწერების რაოდ	1	საქმეთა რაოდ.	3765	კიდური თარიღები	ძირითადი ენა
				1859-1867	რუსული
ფონდშემქმნელი:					
მონაპოვრის წყარო:					
აღწერების სახელწოდება:					
შენიშვნები:					

გუბერნატორების ანგარიშები.

დებულებები, მიმონერა, საქმეები შემდეგ საკითხებზე: ამიერკავკასიაში სასამართლო ნაწილის მოწყობა; კავკასიაში სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის სამმართველოს გაუქმება; სტავროპოლის გუბერნიაში მაგისტრატისა და რატუშის გაუქმება; ეკატერინოდარის საქალაქო სასამართლოს დაარსება; სამეგრელოს უმაღლესი წოდების წარმომადგენელთა პირადი უფლებების დამდგენი კომისიის დაარსება. მეტატონეთა საჩივრების გარჩევა; მემამულეთა მიერ გლეხების მითვისება; გლეხების გადასახლება და გაყიდვა; სამეგრელოს მმართველი სახლის კუთვნილი სვანი გლეხების აღწერა; თბილისში ამქართა გამოსვლის შესახებ (1865 წ.).

ცნობები აფხაზეთის მთავრის თავად დ. შერვაშიძის გარდაცვალების შესახებ.

მოიხსენიებიან: ს. დოდაშვილი, დ. ყიფიანი, მ. ფ. ახუნდოვი.

**კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს
საფინანსო საქმეთა დეპარტამენტი**

ფონდის ნომერი 10	ძველი ნომერი 26	ფონდის შექმნის თარიღი 1859	შემოსვლის თარიღი 1923
აღწერების რაოდ 1	საქმეთა რაოდ. 4174	კიდური თარიღები 1859-1867	ძირითადი ენა რუსული
ფონდშემქმნელი:			
მონაპოვრის წყარო:			
აღწერების სახელწოდება:			
შენიშვნები:			

მოხსენებები, მიმონერა შემდეგ საკითხებზე: საბაჟო დაწესებულებების დაარსება და გაუქმება; ამიერკავკასიის ფინანსური დაწესებულებების გარდაქმნა; ფინანსური დეპარტამენტის გახსნა; სატრანზიტო ვაჭრობის წესებზე ზედამხედველობა; საბაჟო ნაწილში გამოძიების ჩატარება; ფაბრიკანტებისათვის შეღავათების განევა; სავაჭრო ამხანაგობებისა და სააქციო კომპანიების დაარსება; ბაზრობების სავაჭრო მიმოქცევა; საქონლის ექსპორტ-იმპორტი; ალაგირის ქარხნის მოსაწყობად სამუშაოების მიმდინარეობა; სახაზინო გლეხებზე გადასახადის დაწესება; სააქციო გადასახადი თამბაქოსა და სასმელებზე; კასპის ზღვაზე ნაოსნობისა და ვაჭრობის საზოგადოების დაარსება. კავკასიის ფაბრიკა-ქარხნების, სახელოსნოების უწყისები. ამიერკავკასიის საკარანტინო-საბაჟო ოლქში ვაჭრობის წარმოება.

კავკასიის მეფისნაცვლის დიპლომატიური კანცელარია

ფონდის ნომერი 11	ძველი ნომერი 29	ფონდის შექმნის თარიღი 1829	შემოსვლის თარიღი 1923
აღწერების რაოდ 1	საქმეთა რაოდ. 4151	კიდური თარიღები 1829-1868	ძირითადი ენა რუსული
ფონდშემქმნელი: დაარსდა სახელწოდებით „საქართველოში მთავარმართებლის დიპლომატიური კანცელარია“. 1840 წელს ეწოდა „ამიერკავკასიის მხარის მთავარმართებლის დიპლომატიური კანცელარია“, 1845 წელს – „კავკასიის მეფისნაცვლის დიპლომატიური კანცელარია“. გაუქმდა 1868 წელს.			
მონაპოვრის წყარო:			
აღწერების სახელწოდება:			
შენიშვნები: კატალოგი			

მოხსენებითი ბარათები, დიპლომატიური მიმონერა შემდეგ საკითხებზე: რუსეთის არმიის სამხედრო მოქმედებები თურქეთისა და სპარსეთის წინააღმდეგ; დიპლომატიურ წარმომადგენელთა, მწერალთა და მეცნიერთა კავკასიაში მოგზაურობა; უფლისწულ ალექსანდრეს ანტისამთავრობო მოღვაწეობის შესახებ; თურქმანჩაის ხელშეკრულების დადება; სპარსეთსა და თურქეთთან სასაზღვრო ურთიერთობათა მოსაგვარებლად გრიბოედოვის მივლინება. ნინო ჭავჭავაძისათვის პენსიის დანიშვნა.

სავაჭრო ტრაქტატები თურქეთსა და სპარსეთთან. ანგარიში სპარსეთთან სავაჭრო ურთიერთობების ანგარიში.

გენ. პასკევიჩის მოხსენება აბას-აბადის ციხე-სიმაგრის აღების შესახებ.

ალ.ჭავჭავაძისა და ა.გრიბოედოვის ავტოგრაფები.

კავკასიის სამოქალაქო ნაწილის მთავარმართებლის კანცელარია

ფონდის ნომერი 12	ძველი ნომერი 31	ფონდის შექმნის თარიღი 1883	შემოსვლის თარიღი 1923
აღწერების რაოდ 16	საქმეთა რაოდ. 19685	კიდური თარიღები 1883-1905	ძირითადი ენა რუსული
ფონდშემქმნელი:			
მონაპოვრის წყარო:			
აღწერების სახელწოდება: 1.სასამართლო, 2.სამდივნო, 3.გადასახადების, 4.საინსპექტორო, 5.საფინანსო, 6.სამეურნეო, 7.საგანმკარგულებლო, 8.საერთო, 9.საერო, 10.საგლეხო, 11.სამოსამართლო, 12.სამდივნო, 13.კანცელარია, 14.საიდუმლო ნაწილი, 15.საერთო საქმეთა განყოფილება, 16.სამოსამართლო განყოფილება			
შენიშვნები:			

თბილისის, ქუთაისის, ბაქოს, დაღესტნის გუბერნატორების, ყუბანის, თერგისა და შავიზღვისპირეთის ოლქების უფროსების ანგარიშები. თბილისის, ქუთაისის, ერევნის, ბაქოს, სტავროპოლის, უფის, ტულის გუბერნიების, დაღესტნისა და ყარსის ოლქების მიმობილვები. ქუთაისის სამხედრო გუბერნატორისა და სიღნაღის მაზრის უფროსის მოხსენებები.

რსდმპ-ს პროკლამაციები; „საქართველოს თავისუფალი ლიგის“ პროგრამა და წესდება; მოხსენებები ქუთაისში, თბილისსა და ბათუმში მღელვარებების, აგრარულ-რევოლუციური მოძრაობის შესახებ.

მოხსენებითი ბარათები, დებულებები, მიმონერა შემდეგ საკითხებზე: კავკასიაში რევოლუციური იდეების წინააღმდეგ ბრძოლა; პოლიტიკურ საზოგადოებებზე ზედამხედველობა; დ.ყიფიანის სტავროპოლში გადასახლება; ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარი სახელოსნოების, ადელხანოვის ფაბრიკის, ბაქოს ნავთობის ქარხნის გაფიცვების შესახებ; თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორ ჩუდეცკის მკვლელობა; თბილისისა და ქუთაისის სასულიერო სემინარიების მოსწავლეთა მღელვარების შესახებ; პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ მყოფ პირთა სიები.

სათემო და სასოფლო საზოგადოებების მმართველობის შესახებ; სოფლის საქმეთა დაწესებულებების გარდაქმნა; ერევნის გუბერნიის ადმინისტრაციულ ტერიტორიული საზღვრების შეცვლა; სოხუმის ოლქის ადგილობრივი დაწესებულებების შესახებ; ქუთაისისა და თბილისის გუბერნიებში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღება; ყუბანის წოდებრივი კომისიისა და სტატისტიკური კომისიის დაარსება; საქალაქო საზოგადოებრივი მმართველობის შემოღება; ყუბანისა და თერგის ოლქების მმართველობის გარდაქმნა; ამიერკავკასიის საქალაქო და პოლიციის დაწესებულებების მონყობა; ბარათი კავკასიაში მეფისნაცვლის ინსტიტუტის შემოღების აუცილებლობის შესახებ.

ყარსის ოლქის დასახლება; ამიერკავკასიაში თურქეთიდან სომხების ჩამოსახლება; მინების გამიჯვნა; უცხოელების რუსეთის ქვეშევრდომებად მიღება; კავკასიაში რუსული დასახლებების მონყობა; კავკასიის კოლონიზაციის მიმდინარეობის შესახებ; ბათუმის საოლქო საფაბრიკო და სამთო-საქარხნო საქმეთა საკრებულოს დაარსების შესახებ; ნავთობის მრეწველობის საზოგადოების წესდების დამტკიცება; წიაღისეულის დამუშავება; სამრეწველო საზოგადოებათა წესდების შემუშავება; შავიზღვისპირეთის გუბერნიაში საგზაო მიმოსვლის განვითარება; ბელგიური საზოგადოებისაგან თბილისის ტრამვაის გამოსყიდვა; კახეთის რკინიგზის მშენებლობა; სატელეგრაფო ხაზის გაყვანა; ქ. შემახის 1902 წლის მინისტრის შემდეგ აღდგენა;

კამერალური აღწერის ჩატარების წესები; თბილისის 1898 წლის აღწერა; ქალაქების შემოსავალ-გასავლის აღწერა; ეკატერინოდარის საქალაქო-საზოგადოებრივი ბანკისა და შემნახველი საღაროების ანგარიშები; მიმონერა ქალაქებში საზოგადოებრივი ბანკების, თბილისის კომერციული და საადგილმამულო ბანკის გახსნის შესახებ. ელიზავეტოპოლის, ბა-

ქოს, ერევნის გუბერნიების გლეხთა საზოგადოებრივი მმართველობის დებულება; კავკასიაში საგადასახადო სისტემის გარდაქმნის კომისიის სხდომის ჟურნალი; უწყებები ქუთაისის გუბერნიაში თამბაქოს მოსავლის შესახებ; მიმონერა ქ. ბათუმსა და მის შემოგარენში ჭაობების დაშრობის თაობაზე; ნახიჭევანის სარწყავი არხების გაფართოების შესახებ; ამიერკავკასიაში სამიჯნო სამუშაოების ჩატარების გეგმები; დებულება ამიერკავკასიის ბებიაქალთა ინსტიტუტის შესახებ; ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა, საქველმოქმედო საზოგადოებების ანგარიშები.

მოხსენებები, მიმონერა შემდეგ საკითხებზე: თბილისში პოლიტექნიკუმის, ბიბლიოთეკების, გიმნაზიების, სასწავლებლების, ქალთა მუსიკალური სასწავლებლის დაარსება; გაზეთ „ივერიის“ დაარსება. გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეს“ რედაქტორად მ. უსპენსკის დამტკიცება; გაზეთ „დროების“ რედაქტორის თანამდებობიდან ი. მაჩაბლის განთავისუფლება. საჯარო ბიბლიოთეკისა და სამხედრო-საისტორიო მუზეუმების მშენებლობა; აწერეთლის ლექსის გამოქვეყნების აკრძალვა. ისტორიული ნარკვევი თბილისის სახაზინო თეატრის მოღვაწეობის შესახებ; უწყებები ტიპოგრაფიების შესახებ; სანიტარულ-საექიმო ორგანოების მუშაობის ანგარიში; თბილისის მიხეილის საავადმყოფოს წესდება; კავკასიაში ქოლერის გავრცელება; ეპიდემიის საწინააღმდეგო ზომების მიღება; აბასთუმნის მინერალური წყლების მოწყობა; თბილისში სავეტერინარო-საფერშლო სკოლის დაარსება; საავადმყოფოს მშენებლობა; უწყებები ეკლესიების, მონასტრების, სამრევლო სკოლების რაოდენობის შესახებ; დუხობორებს შორის მღვდვარების შესახებ; სექტანტების მოღვაწეობა; ნებართვა ლუთერანულ-ევანგელური საზოგადოებების შესაქმნელად. სოხუმის ეპარქიის საქართველოს ეგზარქატის შემადგენლობიდან გამოყოფა. საქმე ნ. ნიკოლაძის ფოთის ქალაქისთავად დანიშვნის შესახებ.

მოიხსენიებიან: ნ. ალექსი-მესხიშვილი, გ. არცრუნი, ნ. გოგოლი, ი. ჯაბადარი, ვ. დოკუჩაევი, ვ. ჟუკოვსკი, ი. კერესელიძე, ვ. კეცხოველი, დიმიტრი ყიფიანი, ივანე მაჩაბელი, სერგეი მესხი, ნ. ნიკოლაძე, ნ. პიროგოვი, თ. სახოკია, ლ. ტოლსტოი, ა. წერეთელი, ი. ჭავჭავაძე, პ. ჩაიკოვსკი, გ. ერისთავი, ბ. ესაძე.

კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარია

ფონდის ნომერი 13	ძველი ნომერი 41	ფონდის შექმნის თარიღი 1905	შემოსვლის თარიღი 1923
აღწერების რაოდ 31	საქმეთა რაოდ. 36882	კიდური თარიღები 1905-1917	ძირითადი ენა რუსული
ფონდშემქმნელი:			
მონაპოვრის წყარო:			
აღწერების სახელწოდება: 1. სამდივნო ნაწილი, 2. ადგილობრივი მეურნეობის განყ., 3. საერთო საქმეთა განყ., 4. საფინანსო განყ., 5. საბუღალტრო ნაწილი, 6. განმკარგულებითი განყ., 7. საგლეხო-საადგილმამულო განყ., 8. საერობო ბუღალტერიის განყ., 9. საანგარიშობ განყ., 10. საერობო განყ., 11. სასულიერო საქმეთა განყ., 12. სავაჭრო-სამრეწველო განყ., 13. საინსპექტორო განყ., 14. საპენსიო განყ., 15. სასამართლო განყ., 16. ტიპოგრაფია, 17. საგაზეთო ნაწილი, 18. კანცელარიის არქივი, 19. შემნახველ-გამსესხებელი სალაროს განყ., 20. 21. ძსაპოლიციო ნაწილის საგანგებო განყ., 22. სამდივნო, 23. კავკასიის მეფისნაცვლის საბჭო, 24. კავკასიის მეფისნაცვლის საბჭო, 25. კანცელარია და მისი ქვემდებარე დაწესებულებების მოსამსახურეთა ანბანური სიები, 26. სამხედრო-სახალსო განყ., 27. საგანგებო პოლიტიკური განყ., 28. მდივნის განყ., 29. სამოსამართლო განყ., 30. სამოსამართლო განყ., 31. ადმინისტრაციული განყ. ფფიაფფმძნ			
შენიშვნები:			

ანგარიშები: თბილისის, ელიზავეტოპოლის, ერევნის გუბარნატორების, თერგის, ბათუმის, დაღესტნის ოლქების უფროსების.

მიმოხილვები: ქუთაისის, შავიზღვისპირეთის, ერევნის, ბაქოს, ელიზავეტოპოლის გუბერნიების, დაღესტნის, ყარსის, თერგის ოლქების.

პროექტები, მიმონერა, ბრძანებები შემდეგ საკითხებზე: ამიერკავკასიის ადგილობრივი მმართველობის გარდაქმნა; მხარის მმართველობის შესახებ დებულების შესადგენად საგანგებო კომისიის შექმნა; საგუბერნიო და საოლქო კომიტეტების დაარსება; გუბერნიებში საერო და დანესებულებების შემოღება; კავკასიის მეფისნაცვლის გამგებლობიდან შავიზღვისპირეთის გუბერნიის გამოყოფა; სოხუმის ოლქის ქუთაისის გუბერნატორისადმი დაქვემდებარება; დაღესტნის მუდმივი მილიციის გაუქმება და მის ნაცვლად პოლიციის საგუშაგოს შექმნა; საფაბრიკო ინსპექტორების დანიშვნა; საბაჟო დანესებულებების გარდაქმნა; კავკასიაში სახალხო-საექიმო მმართველობისა და სინოდის კანტორის გარდაქმნა; სტავროპოლისა და შავიზღვისპირეთის გუბერნიების, დაღესტნის, თერგისა და ყუბანის ოლქების საფოსტო-სატელეგრაფო სადგურების მუშაობის შესახებ; თბილისსა და თბილისის მაზრაში სამხედრო მდგომარეობის გაუქმება; კავკასიის მხარეში სამხედრო მდგომარეობის გამოცხადება; მაზრების გასაწვევ უბნებად დაყოფა; მუსლიმური მოსახლეობის სავალდებულო სამხედრო სამსახურში ჩაბმა.

გუბერნიების, მაზრების, ოლქების სტატისტიკური მონაცემები; ცნობები სოხუმის ოლქის შესახებ (1912 წ.); ისტორიული ცნობა შავიზღვისპირეთის გუბერნიის შესახებ; გერმანული კოლონიების შემოსავალ-გასავლის 1907 წლის უწყისები; კავკასიის კუსტარული კომიტეტისა და კავკასიის სამთო სამმართველოს ანგარიშები; ბაქოს ნავთობის მრეწველობის 1906 წლის მიმოხილვა; ზღვისპირა სავაჭრო პორტების მმართველობაზე დებულების პროექტი; თბილისის სავაჭრო სკოლის, მინისმზომელთა სასწავლებლის ანგარიშები; ბაქოს, ნოვოროსიისკის სავაჭრო პორტების ანგარიშები; ბათუმისა და ფოთის პორტების 1878-1907 წლების საქონელბრუნვის შედარებითი დიაგრამები; სავაჭრო საზოგადოებათა წესდებების დამტკიცება; ქ.ბაქოს გეგმა; „კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოების“ ანგარიშები.

მოხსენებითი ბარათები, მიმონერა შემდეგ საკითხებზე: სამრეწველო, სააქციო, სამთო-სამრეწველო საზოგადოებების დაარსება; გროზნოში სამთო მენარმეთა XIX ყრილობის მოწვევა; ბაქოში ნავთობმენარმეთა XXII ყრილობის მოწვევა; ქუთაისში მანგანუმის მენარმეთა XVI ყრილობის მოწვევა; ბაქოს ნავთობის სამმართველოს დაარსება; ქ.სოხუმში ქიმიურ-ფარმაცევტული ფაბრიკის გახსნა; კასპიის ზღვაზე სამეცნიერო-სარეწავო ექსპედიციის გაგზავნა; გეოლოგიური გამოკვლევების ჩატარება; კახეთის, ტყვარჩელ-ოჩამჩირის, თბილის-როსტოვის რკინიგზების მშენებლობა; ამიერკავკასიის გზების ქსელის შეცვლა; ქალაქებს შორის საავტომობილო მიმოსვლის მოწყობა; 8-საათიანი სამუშაო დღის შემოღება; მუშათა საშუალო შემოსავლების შესახებ; წესები კამერალური აღწერის ჩატარების შესახებ; საქართველოში 1913-1916 წლებში თამბაქოს წარმოების სტატისტიკური მონაცემები; გუბერნიების საერო-აგრონომთა 1913 წლის თათბირის შედეგები; სოფლის საზოგადოებების ჩამოყალიბება; სათესი ნაკვეთების გაზრდა; საერო-აგრონომთა მოღვაწეობის შესახებ; საქარის ამერიკული ვაზის ლერწის სანერგის მეღვინეობისა და მევენახეობის საცდელ სადგურად გარდაქმნა; თბილისის მეზამბეთა ყრილობის შესახებ (1912 წ.); ბაქოსა და ელიზავეტოპოლის გუბერნიების მოსახლეობის საუკეთესო ჯიშის ბამბის თესლით მომარაგება; კავკასიის სახელმწიფო ნაკრძალის მოწყობა; სარწყავი არხების გაყვანა.

კავკასიაში ბეჭდვითი საქმის მმართველობაზე შესახებ დებულების პროექტი; თბილისის სახაზინო თეატრის, კავკასიის საცენზურო კომიტეტის ანგარიშები; საგანმანათლებლო, საქველმოქმედო, მუსიკალური, ეთნოგრაფიული და სამხატვრო საზოგადოებების ანგარიშები; ფიზიკური ობსერვატორიის წესდებები და შტატები; თბილისის ბებიაქალთა საზოგადოების ანგარიშები.

მოხსენებები, მიმონერა შემდეგ საკითხებზე: გაზეთ „კავკაზ“-ის გამოცემა; თბილისში უმაღლესი სასწავლებლის, გიმნაზიების, მუსლიმური სკოლების, ქალთა სამხატვრო სკოლის გახსნა; კავკასიის მუზეუმისა და საჯარო ბიბლიოთეკის შენობების მშენებლობა; პიესების



დადგმაზე ნებართვა; ნატიფ ხელოვნებათა ნახალისების კავკასიის საზოგადოების წესდების შეცვლა; ქართველ სასცენო მოღვაწეთა 1914 წლის ყრილობა; ქოლერის ეპიდემიის გავრცელების წინააღმდეგ ზომები; აფთიაქების, საავადმყოფოების გახსნა; კავკასიის მინერალური წყლების მმართველობის გარდაქმნა; სამედიცინო დაწესებულებებისათვის ფულის გამოყოფა; სასულიერო სასწავლებლების შენახვა; ეკლესიების, მეჩეთების მშენებლობა; საეკლესიო მმართველობის გარდაქმნა; სექტანტებზე ზედამხედველობა; სომხურ-გრიგორიანული ეკლესიებისა და მონასტრების შესახებ; საქართველოს ეგზარქოს ნიკონის მკვლელობა; ქუთაისში მართლმადიდებლური სასულიერო სემინარიის გახსნა; სომხური საეკლესიო-სამრევლო სკოლებისათვის ახალი დებულების გამოცემა.

რსდმპ-ის პროგრამები, წესდება, პროკლამაციები და მოწოდებები; ამიერკავკასიის რკინიგზის მოსამსახურეთა გაფიცვები; საიდუმლო ტიპოგრაფიების აღმოჩენა; რევოლუციურ პროპაგანდაში ეჭვმიტანილ პირთა გადასახლება; კავკასიაში რევოლუციური მოძრაობა; პოლიტიკური ორგანიზაციების მოღვაწეობა; პოლიტპატიმართა უწყებები; მღელვარებები ქუთაისის გუბერნიაში; კასპიის ფლოტის მეზღვაურთა რევოლუციური მოძრაობა; სავაჭრო-სამრეწველო სანარმოების გაფიცვები; ქ.ბაქოში მუშათა მოძრაობა.

დომ. ყიფიანის ნამსახურობის სიები. ა.წერეთლის დაკრძალვის აღწერილობა.

მოიხსენიებიან: ვ. ლენინი, ფ. მახარაძე, ნ. ნიკოლაძე, გ. ორბელიანი, ს. ტერ-პეტროსიანი (კამო), ო. თუმანიანი, ა. წერეთელი, ს. შაუმიანი, ტ. შვეჩენკო.

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს კავკასიის მეფისნაცვლის საბჭოს წევრი

ფონდის ნომერი 14	ძველი ნომერი 62	ფონდის შექმნის თარიღი 1905	შემოსვლის თარიღი 1923
აღწერების რაოდ 1	საქმეთა რაოდ. 370	კიდური თარიღები 1905-1917	ძირითადი ენა რუსული
ფონდშემქმნელი: დაარსდა სახელწოდებით „კავკასიის მეფისნაცვლის ფინანსთა სამინისტროს საბჭოს წევრი“, 1908 წელს ეწოდა „კავკასიის მეფისნაცვლის საბჭოს წევრი ფინანსთა სამინისტროსა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროდან“. გაუქმდა 1917 წელს.			
მონაპოვრის წყარო:			
აღწერების სახელწოდება:			
შენიშვნები: კატალოგი			

კავკასიის მეფისნაცვლის, თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის, მალარიასთან ბრძოლის კავკასიის კომიტეტის დებულებები. ტურიზმის ნახალისების კომიტეტის წესდება.

მოხსენებითი ბარათები, მიმოწერა ქუთაისის გუბერნიის ყოფილ დროებითვალდებულ გლეხთა დაბეგვრის წესის შესახებ. კასპიის სავაჭრო ფლოტის მოსამსახურეთა და ბაქოს მენავთობეთა გაფიცვა. კავკასიაში სამედიცინო დაწესებულებების გარდაქმნა.

**საბარაო საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო ურთიერთობათა კავკასიის
მეფისნაცვლის მოხელე**

ფონდის ნომერი 15	ძველი ნომერი 63	ფონდის შექმნის თარიღი 1868	შემოსვლის თარიღი 1923
აღწერების რაოდ 1	საქმეთა რაოდ. 384	კიდური თარიღები 1869-1917	ძირითადი ენა რუსული
ფონდდუმქმნელი: დაარსდა სახელწოდებით „საგარეო საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო ურთიერთობათა კავკასიის მეფისნაცვლის მოხელე“. 1883 წელს ეწოდა „საგარეო საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო ურთიერთობათა კავკასიის სამოქალაქო ნაწილის მთავარმართებლის მოხელე“, ხოლო 1905 წელს - „საგარეო საქმეთა სამინისტროს კავკასიის სასაზღვრო ურთიერთობათა მეფისნაცვლისა მოხელე“.			
მონაპოვრის წყარო:			
აღწერების სახელწოდება:			
შენიშვნები: კატალოგი			

დებულება თურქეთთან სასაზღვრო ურთიერთობათა მოხელის თანამდებობის დაარსების შესახებ; კავკასიის მხარის მმართველ დაწესებულებათა პროექტის განმარტებითი ბარათი .

მიმონერა, მოხსენებები შემდეგ საკითხებზე: სპარსეთსა და თურქეთში რუსეთის კონსულების დანიშვნა; ამიერკავკასიის ქალაქებში უცხოელ კონსულთა დანიშვნა; სპარსეთის 1908-1909 წწ. რევოლუციური მოძრაობის შესახებ; სპარსეთში რევოლუციური მოძრაობის ჩასახშობად დამსჯელი რაზმების გაგზავნა; მთავრობის მონინალმდეგე პირთა და „დაშნაკ-ცუტიუნის“ პარტიის წევრთა გასახლება სპარსეთში; რუსეთ-სპარსეთის სავაჭრო ურთიერთობების შესახებ.

აღმოსავლეთმცოდნეთა საზოგადოების თბილისის განყოფილების წევრთა სიები. თბილისის დაწესებულებათა სია.

მოიხსენიება ა.გრიბოედოვი.

**თბილისის სამხედრო გუბერნატორის სამოქალაქო
ნაწილის მმართველის კანცელარია**

ფონდის ნომერი 16	ძველი ნომერი 152	ფონდის შექმნის თარიღი 1802	შემოსვლის თარიღი 1923
აღწერების რაოდ 1	საქმეთა რაოდ. 11045	კიდური თარიღები 1802-1860	ძირითადი ენა რუსული
ფონდდუმქმნელი: დაარსდა სახელწოდებით „საქართველოს მმართველის კანცელარია“. 1811 წელს ეწოდა „საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორის კანცელარია“, 1840 წელს – „საქართველო-იმერეთის სამოქალაქო გუბერნატორის კანცელარია“, 1847 წელს – „თბილისის სამოქალაქო ნაწილის სამხედრო გუბერნატორის კანცელარია“. გაუქმდა 1860 წელს.			
მონაპოვრის წყარო:			
აღწერების სახელწოდება:			
შენიშვნები:			

დებულებები, მოხსენებები, მიმონერა შემდეგ საკითხებზე; საპოლიციო უწყებების შექმნა; საბინაო კომისიის, სიტყვიერი სასამართლოს, საკრებულოების დაარსება; საგუბერნიო ქალაქებში ციხის კომიტეტების შექმნა; საგუბერნიო სამშენებლო კომისიის, თბილისის მაგისტრატის, სამაზრო ქალაქებში რატუშების, თბილისის დროებითი საფოსტო კანტორის, სასოფლო და მანუფაქტურული წარმოების ნახალისების საზოგადოების, საკარანტინო კანტორის, ქალაქის სასურსათო კომიტეტის, საქალაქო სასამართლოს დაარსება; საქართველოში საერობო ჯარის „მორიგის“ ჩამოყალიბება.



თურქეთთან და სპარსეთთან სამშვიდობო ხელშეკრულების დადება; რუსეთის არმიის თურქეთის, სპარსეთისა და საფრანგეთის ჯარებზე გამარჯვების შესახებ; ამიერკავკასიაში შამილისა და სპარსეთის ჯარის შემოჭრა; თურქების შემოსევების შესახებ; სიღნაღისა და თელავის მაზრების მცხოვრებთა ქართული ქვეითი პოლკის ჩამოყალიბება; ქართული ლაშქრისათვის დროშისა და სიგელის გადაცემა.

იმერეთისა და გურიის გლეხთა აჯანყებისა და 1832 წლის შეთქმულების მონაწილეებზე ზედამხედველობის შესახებ მოხსენებები და მიმონერა.

უფლისწულ ალექსანდრეს საიდუმლო მიმონერა ყაზარდოელებთან; სოლომონ II-ის თურქეთში გადასვლა; უფლისწულ ვახტანგის მთავრობისსაწინააღმდეგო ქმედებების შესახებ; ხაზინისათვის სამეფო სახლის ნევრებისა და თავადების მამულების გადაცემა; გაქცეულ უფლისწულ ალექსანდრესა და მისი მომხრეების ძებნა; უფლისწულ ფარნავაზის დაპატიმრება; სამეგრელოს მთავრის ლ.დადიანის გარდაცვალება და ე.დადიანის სამეგრელოს მთავრად და ლ.დადიანის შვილის მეურვედ ცნობა; თბილისში ქართველ მეფეთა სიგელების განსახილველი კომისიის დაარსება; თავად გ.ჭავჭავაძის მამულის აღწერა.

თბილისში მცხოვრებ უცხოელთა სია; მოხსენებები საქართველოში იმპერატორ ნიკოლოზ I-ის ყოფნის შესახებ; მიმონერა თურქეთიდან ქრისტიანთა გადმოსახლების კომიტეტის მოღვაწეობის, გერმანული კოლონიების მდგომარეობის შესახებ.

თბილისის გუბერნატორის კანცელარია

ფონდის ნომერი 17	ძველი ნომერი 153	ფონდის შექმნის თარიღი 1860	შემოსვლის თარიღი 1923
აღწერების რაოდ 2	საქმეთა რაოდ. 7591	კიდური თარიღები 1860-1917	ძირითადი ენა რუსული
ფონდშემქმნელი:			
მონაპოვრის წყარო:			
აღწერების სახელწოდება:			
შენიშვნები: კატალოგი			

თბილისის, ახალციხის, გორის საქალაქო სათათბიროების დადგენილებები; გუბერნატორებისა და მაზრების უფროსების ანგარიშები; თბილისის, ბაქოს, ხერსონის გუბერნიების მიმოხილვა.

დებულებები, მოხსენებები, მიმონერა შემდეგ საკითხებზე: ახალქალაქში სახელოსნო გამგეობის დაარსება; თბილისის პოლიციის სამმართველოსთან სამძებრო განყოფილების გახსნა; საზოგადოებრივი მზრუნველობის ამიერკავკასიის კომიტეტის გაუქმება; კავკასიის საქალაქო და სასოფლო სამმართველოების გარდაქმნა; სასამართლო ოლქის სამომრიგებლო-სასამართლო და საგამომძიებლო უბნებად დაყოფა; საქალაქო თვითმმართველობის რეფორმა; „ნახშირ-ტყიბულის სამთო-სამრეწველო საზოგადოების“ წესდების დამტკიცება; თბილისის გუბერნიის ფაბრიკებისა და ქარხნების საქმეთა საკრებულოს სხდომათა ოქმები; ფაბრიკა-ქარხნების უწყისები; თბილისში, ცხინვალში, შულავერში სატელეფონო კავშირის მოწყობა; კახეთის რკინიგზის მშენებლობა; თბილისის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის წესდება; სოფლის ბანკების დაარსება; თბილისის მაზრის მცხოვრებთა კამერალური აღწერა; გორის მაზრის სოფლის მეურნეობის ამხანაგობის ანგარიში; უწყება თბილისის გუბერნიაში მეაბრეშუმეობის შესახებ; თბილისში რუსეთის მეზღვეობისა და მეფრინველეობის საზოგადოების დაარსება; თბილისში მეზამბეთა ყრილობის ჩატარების შესახებ (1912 წ.).

გორის, სიღნაღის, თელავის მაზრებში და თბილისის გუბერნიაში სკოლების გახსნა; დებულება სამხატვრო და მუსიკალური სკოლების შესახებ; თბილისის მუსიკალური საზოგადოების წესდების დამტკიცება; ქართული ლიტერატურისა და ისტორიის საზოგადოების, ისტორიისა

და ეთნოგრაფიის საზოგადოების, თბილისის არტისტული საზოგადოების წესდების დამტკიცება; თბილისის გუბერნიების სასწავლებლების ანგარიშები; ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების, კავკასიის მუზეუმის, საქველმოქმედო და საგანმანათლებლო საზოგადოებების ანგარიშები; თელავის არტისტული წრის გახსნა; ბიბლიოთეკების, ტიპოგრაფიების, ლიტოგრაფიების გახსნა; სომხური დრამატული საზოგადოების, «ესპერანტოს» კავკასიის საზოგადოების, ქ. თბილისში პოლონური სახლის საზოგადოების, ქალთა საქველმოქმედო საზოგადოების სომხური (ქ. ახალციხეში) დაარსება; საგანმანათლებლო საზოგადოებების სია; ბიბლიოთეკების წესდებები; ა.პუშკინის, ა.რუბინშტიუნის, ა.ნერეთლის იუბილეების ჩატარება.

თბილისის გუბერნიაში ქოლერის ეპიდემიის გავრცელება; ფარმაცევტთა ურთიერთდამარების საზოგადოების დაარსება; თბილისში ექიმთა XIII ყრილობის მოსაწყობად განმკარგულებელი კომიტეტის შექმნა.

რსდმპ-ის კავკასიის კომიტეტის პროკლამაციები; მუშათა გაფიცვები და დემონსტრაციები; რევოლუციური მოძრაობა თბილისის სასულიერო სემინარიაში; ავლაბრის არალეგალური ტიპოგრაფიის შესახებ; მუშათა წრეების შექმნა; ლ.კეცხოველის მკვლელობა მეტეხის ციხეში; სომხური პარტია „დაშნაკცუტიუნის“ შესახებ; თბილისის გუბერნიაში გლეხთა მოძრაობა; 1907-1909 წლების სპარსეთის რევოლუციის შესახებ; პარიზში მცხოვრებ კავკასიელ სტუდენტთა შესახებ; 1863 წელს კავკასიაში გადასახლებულ პოლონეთის აჯანყების მონაწილეთა შესახებ; ი.ჭავჭავაძის მკვლელობის შესახებ.

მოხსენიებული არიან: დ.ყიფიანი, ი.გოგებაშვილი, ვ.გუნია, გ.ყაზბეგი, გ.არცრუნი, ი.სტალინი, ს.ალილუევი, მ.კალინინი, ა.პეშკოვი (გორკი), ზ.ჩოდრიშვილი, მ.ცხაკაია, ა.ნულუკიძე, მ.ბოჭორიძე და სხვ.

**ამიერკავკასიის რკინიგზების გასხვისების ზოლის დროებითი
ბანერალ-გუბერნატორის კანცელარია**

ფონდის ნომერი	18	ძველი ნომერი	197	ფონდის შექმნის თარიღი	შემოსვლის თარიღი
				1905	1920
აღწერების რაოდ	2	საქმეთა რაოდ.	2436	კიდური თარიღები	ძირითადი ენა
				1905-1917	რუსული
ფონდშემქმნელი:					
მონაპოვრის წყარო:					
აღწერების სახელწოდება:					
შენიშვნები:					

გასხვისების ზოლში სამხედრო ნაწილების განლაგების გეგმები; ამიერკავკასიის რკინიგზის ჟანდარმთა პოლიციის სამმართველოსთან სამხედრო-სადაზვერვო განყოფილების დაარსება.

მიმონერა ჭიათურის მაღაროებისა და ამიერკავკასიის რკინიგზის მუშა-მოსამსახურეთა გაფიცვების, რკინიგზის სამხედრო ბატალიონის მობილიზაციის, რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ ზომების მიღების, პოლიტიკური საიმედოობის შემონახვის, კონტრაბანდული წესით იარაღის გატანისათვის დაპატიმრების შესახებ.

**თბილისის, თბილისის გუბერნიისა და ზაქათალის მხარის
ღრთაბითი გენერალ-გუბერნატორი**

ფონდის ნომერი 20	ძველი ნომერი 20	ფონდის შექმნის თარიღი 1905	შემოსვლის თარიღი 1930
აღწერების რაოდ 2	საქმეთა რაოდ. 430	კიდური თარიღები 1905-1916	ძირითადი ენა რუსული
ფონდშემქმნელი:			
მონაპოვრის წყარო: მიღებულია საქრთველოს რევოლუციის მუზეუმიდან			
აღწერების სახელწოდება:			
შენიშვნები: კატალოგი			

პროკლამაციები, მონოდებები, ბროშურები. კავკასიის მეფისნაცვლის ბრძანებები კავკასიაში სამხედრო მდგომარეობის გამოცხადებისა და ღრთებითი გენერალ-გუბერნატორების დანიშვნის შესახებ.

ბრძანებები და განკარგულებები პერიოდული გამოცემების დახურვის, სხვადასხვა პირის გასახლების შესახებ.

მოხსენებები, მიმონერა შემდეგ საკითხებზე: თბილისის გუბერნიაში გლეხთა გამოსვლები (1905-1908 წწ.); ადგილობრივი ხელისუფლების მიმართ ტერორისტული აქტების განხორციელება; თბილისის ტრამვაის მოსამსახურეთა გაფიცვა; პოლიტპატიმართა შიმშილობის შესახებ. ბიბლიოთეკებზე, ტიპოგრაფიაზე, პერიოდულ გამოცემებზე, საჯარო ლექციებზე, პროფესიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებზე ზედამხედველობა. დაკავებულ პირთა სიები.

მასალები ი.ჭავჭავაძის მკვლელობის შესახებ.

ქუთაისის ღრთაბითი გენერალ-გუბერნატორის კანცელარია

ფონდის ნომერი 21	ძველი ნომერი 67	ფონდის შექმნის თარიღი 1942	შემოსვლის თარიღი 1942
აღწერების რაოდ 1	საქმეთა რაოდ. 17	კიდური თარიღები 1905-1908	ძირითადი ენა რუსული
ფონდშემქმნელი: ფონდი შეიქმნა იმ დოკუმენტებისგან, რომლებიც გამოიყო ფონდიდან „გუბერნატორები“ (37)			
მონაპოვრის წყარო:			
აღწერების სახელწოდება:			
შენიშვნები: ყოფილი საიდუმლო			

დეპეშების ჩანაწერები: საიდუმლო ტიპოგრაფიისა და არალეგალური ლიტერატურის, სხვადასხვა ასაფეთქებელი ნივთიერების აღმოჩენის შესახებ. ქუთაისის კომიტეტის სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის მუქარის წერილი საგუბერნიო ციხის პატიმრის გერასიმე კუდინისადმი.

უცნობი ავტორის წერილი (შავად ნაწერი) „რევოლუციური მოძრაობა ბათუმში, გურიაში 1900-1904 წწ.“.

მიმონერა გადასახლებულების, სისხლის სამართლის დამნაშავეების შესახებ.

თბილისის გუბერნიის გორისა და დუშეთის მაზრების საგანგებო უფლებამოსილებით მივლინებული გენერალ-ადიუტანტ ამილახვარის კანცელარია

ფონდის ნომერი 24	ძველი ნომერი 18	ფონდის შექმნის თარიღი 1905	შემოსვლის თარიღი 1930
აღწერების რაოდ. 1	საქმეთა რაოდ. 23	კიდური თარიღები 1905-1905	ძირითადი ენა რუსული
ფონდშემქმნელი:			
მონაპოვრის წყარო:			
აღწერების სახელწოდება: მიღებულია საქართველოს რევოლუციის მუზეუმიდან			
შენიშვნები: ყოფილი საიდუმლო			

მეფისნაცვლის მიერ თბილისის გუბერნიის გორისა და დუშეთის მაზრებში გენერალ ამილახვრის საგანგებო უფლებამოსილებით მივლინების შესახებ; ამილახვრის კანცელარიის შემადგენლობისა და ხარჯების შესახებ.

გლებთა მოძრაობის ჩასახშობად ეგზეკუციის დანიშვნა; მიწის რეფორმის საკითხის განსახილველად წარმომადგენლების მოწვევა.

თბილისის გუბერნიის ჟანდარმთა სამმართველოში წარმოებული მიმონერა; მიმონერა კავკასიის მხარის მთავარმართველთან გორისა და დუშეთის მაზრებში მემამულეების წინააღმდეგ გლებების შეიარაღებული აჯანყების გამო ეგზეკუციის გაძლიერებისა და დაპატიმრებების შესახებ.

სოციალ-დემოკრატიული პარტიის მონოდება.

თბილისის გუბერნიის გორისა და დუშეთის მაზრების გენერალ-გუბერნატორის კანცელარია

ფონდის ნომერი 25	ძველი ნომერი 19	ფონდის შექმნის თარიღი 1905	შემოსვლის თარიღი 1930
აღწერების რაოდ. 1	საქმეთა რაოდ. 35	კიდური თარიღები 1905-1906	ძირითადი ენა რუსული
ფონდშემქმნელი:			
მონაპოვრის წყარო: მიღებულია საქართველოს რევოლუციის მუზეუმიდან			
აღწერების სახელწოდება:			
შენიშვნები: კატალოგი, ყოფილი საიდუმლო			

გორისა და დუშეთის მაზრების დროებითი გენერალ-გუბერნატორის თანამდებობის დაწესება. გენერალ-გუბერნატორის ბრძანებები, ცირკულარები, მიმართვები.

მიმონერა შემდეგ საკითხებზე: სამხედრო ნაწილების განლაგება; გორისა და დუშეთის მაზრებში გლებების გამოსვლები; ბრძოლა რევოლუციურ მოძრაობასთან; სამხედრო ნაწილებში პროკლამაციების გავრცელება; სამხედრო მდგომარეობის შესახებ წესების გამოყენება.



თბილისის საგუბერნიო მმართველობა

ფონდის ნომერი 26	ძველი ნომერი 156	ფონდის შექმნის თარიღი 1802	შემოსვლის თარიღი 1923
აღწერების რაოდ 6	საქმეთა რაოდ. 37500	კიდური თარიღები 1802-1919	ძირითადი ენა რუსული
ფონდშემქმნელი: დაარსდა სახელწოდებით „საქართველოს უმაღლესი მთავრობის აღმასრულებელი ექსპედიცია“. 1840 წელს ეწოდა „საქართველო-იმერეთის საგუბერნიო მმართველობა“, 1847 წელს – „თბილისის საგუბერნიო მმართველობა“.			
მონაპოვრის წყარო:			
აღწერების სახელწოდება:			
შენიშვნები:			

საგუბერნიო მმართველობის სხდომათა ჟურნალები. ანგარიშები, უწყებები თბილისის გუბერნიისა და მაზრების შესახებ. სასამართლო დანესებულებების გახსნის შესახებ ცირკულარები.

მოხსენებები, მიმონერა შემდეგ საკითხებზე: საექიმო და სახელოსნო გამგეობების, საკარანტინო კანტორებისა და საგუშაგოების გახსნა; ამიერკავკასიის მხარის პოლიციისა და საოლქო და სიტყვიერი სასამართლოების დაარსება. ქართულ დასახლებულ პუნქტებზე ლეკთა თავდასხმა; ბელაქანთან ლეკებზე გამარჯვება. თბილისის გუბერნიაში რუს გადმოსახლებულთათვის დახმარების განევა; იმერეთისა და გურიის აჯანყებების მონაწილე თავადების შეწყნარებისა და თბილისში ამქართა გამოსვლის შესახებ. სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობების დაარსება; მემამულეებისათვის დაუმორჩილებლობისათვის გამო გლეხების დასჯა; საჯარო ვაჭრობებზე გლეხების გაყიდვა; ყოფილი სამეფო სახლის პირთათვის მამულების დამტკიცება; მემამულეთა გლეხების მომწყობი კომისიის დაარსება; საეროზო გადასახადების ხარჯთაღრიცხვები.

კასტელოსათვის მიწის ნაკვეთის გამოყოფა აბრეშუმსახვევი ფაბრიკისა და ფერმის მოსაწყობად; თბილისში ტყავის, საპნის, ზეთსახდელი და შაქრის ქარხნების აშენება. კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოების წესდება; თბილისში უმაღლესი სასოფლო-სამეურნეო კურსების გახსნა; მეფრინველეობის მოყვარულთა საზოგადოების, გორის სოფლის მეურნეობის საზოგადოების, მეაბრეშუმეობის კავკასიის საზოგადოების წესდებების დამტკიცება. საქართველოში და ამიერკავკასიის ქალაქებში კამერალური აღწერის ჩატარება; რუსული საზომი ერთეულის შემოღება; შიდა გადასახადების გაუქმება; ფასები პურსა და ფურაჟზე.

წესდების დამტკიცება – ისტორიულ-ეთნოგრაფიული საზოგადოების, თბილისის საზოგადოების სახალხო უნივერსიტეტების, საქველმოქმედო საზოგადოებების, სომხური ისტორიულ-არქეოლოგიური საზოგადოების, ქალთა ფოტოგრაფიული და დრამატული საზოგადოების, ბორჯომის ბერძნული საქველმოქმედო საზოგადოების; ამიერკავკასიის ქალაქებში მუსლიმური სასწავლებლებისა და ტიპოგრაფიების დაარსება.

საეროზო საგადასახადო საქმეთა საგანგებო საკრებულო

გათუმის განყოფილების სადგურის უნტერ-ოფიცრები**

ფონდის ნომერი	173	ძველი ნომერი	-	ფონდის შექმნის თარიღი	შემოსვლის თარიღი
				1872	1923
აღწერების რაოდ.	11	საქმეთა რაოდ.	207	კიდური თარიღები	ძირითადი ენა
				1872-1917	რუსული
ფონდშემქმნელი: ფონდი შექმნილია 21 და 42 ფონდებიდან გამოყოფით. (გაერთიანებული საარქივო ფონდი).					
მონაპოვრის წყარო:					
აღწერების სახელწოდება: აღწერა 1.- აბაშის უნტერ-ოფიცრები, აღწერა 2.- კოპიტნარის უნტერ-ოფიცრები, აღწერა 3.- ლანჩხუთის უნტერ-ოფიცრები, აღწერა 4.- ნატანების უნტერ-ოფიცრები, აღწერა 5.- ნიგოთის უნტერ-ოფიცრები, აღწერა 6.- ახალსენაკის უნტერ-ოფიცრები, აღწერა 7.- ფოთის უნტერ-ოფიცრები, აღწერა 8.- საჯავახოს უნტერ-ოფიცრები, აღწერა 9.- სამტრედიის უნტერ-ოფიცრები, აღწერა 10.- სუფსის უნტერ-ოფიცრები, აღწერა 11.- ჭალადიდის უნტერ-ოფიცრები					
შენიშვნები: ყოფილი საიდუმლო					

ცირკულარები მობილიზაციის საკითხების შესახებ; ჟანდარმთა პოლიციის სამმართველოს ბრძანებები;

მიმონერები, ოქმები, ცნობები შემდეგ საკითხებზე: რკინიგზაზე მომხდარი შემთხვევები; პოლონეთის სოციალისტური პარტიის ნევრთა ძიება; იმპერატორის მატარებლების დაცვა; სამმართველოს მუშა-მოსამსახურეთა პოლიტიკური საიმედოობის შემოწმება.

**ამიერკავკასიის რკინიგზების ჟანდარმთა პოლიციის სამმართველოს
ქუთაისის განყოფილების სადგურ ტყიბულის უნტერ-ოფიცრები**

ფონდის ნომერი	181	ძველი ნომერი	63	ფონდის შექმნის თარიღი	შემოსვლის თარიღი
				1887	1923
აღწერების რაოდ.	1	საქმეთა რაოდ.	2	კიდური თარიღები	ძირითადი ენა
				1914-1917	რუსული
ფონდშემქმნელი: ფონდი გამოყოფილია 42 ფონდიდან					
მონაპოვრის წყარო:					
აღწერების სახელწოდება:					
შენიშვნები: ყოფილი საიდუმლო					

ცირკულარები, ოქმები. სხვადასხვა ცნობა საგზაო მუშებისა და მოსამსახურეების შესახებ.

**ამიერკავკასიის რკინიგზების ჟანდარმთა პოლიციის სამმართველოს
თბილისის განყოფილება**

ფონდის ნომერი	182	ძველი ნომერი	96	ფონდის შექმნის თარიღი	შემოსვლის თარიღი
				1883	1923
აღწერების რაოდ.	1	საქმეთა რაოდ.	5	კიდური თარიღები	ძირითადი ენა
				1883-1917	რუსული
ფონდშემქმნელი: ფონდი გამოყოფილია 6 ფონდიდან					
მონაპოვრის წყარო:					
აღწერების სახელწოდება:					
შენიშვნები: ყოფილი საიდუმლო					

მუშების საჩივრები; სამწყობრო ნაწილის ბრძანებები.

**ტრაპიზონის გამაგრებული რაიონის შტაბთან არსებული კონტრაზვერსის
კუნძულის კანცელარია**

ფონდის ნომერი	184	ძველი ნომერი		ფონდის შექმნის თარიღი	შემოსვლის თარიღი
				1917	1923
აღწერების რაოდ.	1	საქმეთა რაოდ.	1	კიდური თარიღები	ძირითადი ენა
				1917-1917	რუსული
ფონდშემქმნელი:					
მონაპოვრის წყარო:					
აღწერების სახელწოდება:					
შენიშვნები: ყოფილი საიდუმლო					

საგამოძიებო საქმე რამდენიმე თურქი მოქალაქის მიერ ტრაპიზონში რუსეთის მოსახლეობის წინააღმდეგ აგიტაციისა და რუსეთის ჯარების შესახებ ინფორმაციის შეგროვების თაობაზე.

რუსეთის გენერალური საკონსულო თავრიზში

ფონდის ნომერი	185	ძველი ნომერი	91	ფონდის შექმნის თარიღი	შემოსვლის თარიღი
				1828	1923
აღწერების რაოდ.	1	საქმეთა რაოდ.	3	კიდური თარიღები	ძირითადი ენა
				1909-1913	რუსული
ფონდშემქმნელი:					
მონაპოვრის წყარო:					
აღწერების სახელწოდება:					
შენიშვნები: ყოფილი საიდუმლო					

რუსეთის საკონსულოს მიმონერა ქ.თავრიზში მიმდინარე სამშვიდობო მოლაპარაკებების შესახებ.

აზერბაიჯანის რაზმის შტაბთან არსებული დაზვერვის ანგარიში.

რუსეთის ვიცე-საკონსულო ქ.არღვილში

ფონდის ნომერი	186	ძველი ნომერი	96	ფონდის შექმნის თარიღი	შემოსვლის თარიღი
				1828	1923
აღწერების რაოდ.	1	საქმეთა რაოდ.	9	კიდური თარიღები	ძირითადი ენა
				1908-1920	რუსული
ფონდშემქმნელი:					
მონაპოვრის წყარო:					
აღწერების სახელწოდება:					
შენიშვნები: ყოფილი საიდუმლო					

სამხედრო ხასიათის საიდუმლო მიმონერა და დეპეშები.

მოხსენებები და მიმონერა საკონსულოს ბადრაგის გასაძლიერებლად კაზაკთა რაზმის ჩამოსვლის შესახებ; სპარსეთში მცხოვრებ რუსეთის ქვეშევრდომთა საჩივრების გარჩევა.

ამიერკავკასიის რკინიგზების მთავარი სახელოსნოები

ფონდის ნომერი	189	ძველი ნომერი	4	ფონდის შექმნის თარიღი	შემოსვლის თარიღი
				1881	1923
აღწერების რაოდ.	1	საქმეთა რაოდ.	26	კიდური თარიღები	ძირითადი ენა რუსული
				1881-1921	
ფონდშემქმნელი:					
მონაპოვრის წყარო:					
აღწერების სახელწოდება:					
შენიშვნები:					

რკინიგზის სახელოსნოების მუშათა მეტრიკული წიგნები.

თბილისში სააქციო საზოგადოება „ზინგარის“ ცენტრალური განყოფილება

ფონდის ნომერი	190	ძველი ნომერი	127	ფონდის შექმნის თარიღი	შემოსვლის თარიღი
				1897	1925
აღწერების რაოდ.	1	საქმეთა რაოდ.	58	კიდური თარიღები	ძირითადი ენა რუსული
				1897-1922	
ფონდშემქმნელი:					
მონაპოვრის წყარო:					
აღწერების სახელწოდება:					
შენიშვნები: ყოფილი საიდუმლო					

მიმონერა, ცირკულარები შემდეგ საკითხებზე: კომპანიის მუშა-მოსამსახურეთა სიები; საერთო წლიური ანგარიშები; საკერავი მანქანების ფასები და რეალიზაციის პირობები; მუშა-მოსამსახურეთა თხოვნები ხელფასის მომატებისა და პირობების გაუმჯობესების შესახებ; სამსახურებრივი ხასიათის მიმონერა; კომპანიის ფილიალები სხვადასხვა ქალაქებში; ფასების ახალი პრეისკურანტები; პროდუქციის საზღვარგარეთ გატანის შესახებ.

თბილისის ქალაქის გამგეობა

ფონდის ნომერი	192	ძველი ნომერი	355	ფონდის შექმნის თარიღი	შემოსვლის თარიღი
				1840	1942
აღწერების რაოდ.	12	საქმეთა რაოდ.	21045	კიდური თარიღები	ძირითადი ენა რუსული
				1840-1921	
ფონდშემქმნელი: ფონდის ნაწილი დაიწვა 1883 წლის ხანძრის დროს					
მონაპოვრის წყარო:					
აღწერების სახელწოდება: აღწერა 1.- თბილისის საქალაქო საზოგადოებრივი მმართველობა, აღწერა 2.- თბილისის საერთო საქალაქო სათათბირო, აღწერა 3.- თბილისის საქალაქო საგანმკარგულებლო სამმართველო, აღწერა 4.- თბილისის საქალაქო სათათბირო, აღწერა 5.- სამდივნო კანცელარია, აღწერა 5ა.- სამდივნო კანცელარია, აღწერა 6.- ადმინისტრაციული განყოფილება, აღწერა 7.- თბილისის საქალაქო საზოგადოებრივი მმართველობა, აღწერა 8.- თბილისის საქალაქო საზოგადოებრივი მმართველობა, აღწერა 9.- უსათაურო, აღწერა 10.- თბილისის ქალაქის გამგეობა, აღწერა 11.- თბილისის საზოგადოებრივი მმართველობა, აღწერა 12.- თბილისის შრომის ბირჟა					
შენიშვნები:					

ქალაქის გამგეობის, სათათბიროსა და აღმასრულებელი კომისიის სხდომათა ოქმები. თბილისის საქალაქო საზოგადოებრივი სამმართველოს დაწესებულებათა ანგარიშები. დებულებები თბილისის საზოგადოებრივი მმართველობის, კავკასიაში საერობო დაწესებულებების

შემოღების, ქალაქის გამგეობის შესახებ. მოხსენებითი ბარათები თბილისის საქალაქო მილიციისა და ცეცხლისაგან ქონების დაზღვევის თბილისის საზოგადოების დაარსების შესახებ.

დადგენილებები, მოხსენებები, მიმონერა შემდეგ საკითხებზე: მუშა-მოსამსახურეთა 1905 წლის გამოსვლები; დემონსტრანტების დარბევა; თბილისის ქალაქის სათათბიროსთან მომიტინგეთა დახვრეტა; რევოლუციურ მოძრაობასთან ბრძოლა.

სტატისტიკური მონაცემები თბილისის მრეწველობის შესახებ; თბილისში თამბაქოსა და ასანთის ფაბრიკების, აგურისა და თუჯსასხმელი ქარხნების გახსნა; ნავთობმრეწველთა ამხანაგობის დაარსება; ცნობა ნავთლულის ნავთობის საბადოებზე. საცხენოსნო-სარკინიგზო გზის, ელექტროტრამვაის, ფუნუკულიორის, რკინიგზის, გზატკეცილების გაყვანა; ელექტროსადგურების აშენება; ქალაქის წყლით მომარაგება; ბაქო-თბილისის რკინიგზის გაყვანა; სასოფლო-სამეურნეო და კულტურულ-სამრეწველო ჩეხური გამოფენის მოწყობა; ავჭალის წყალსადენის მშენებლობა; დაჭაობებული ადგილების დაშრობა; ხიდების მშენებლობა; მუშტაიდის ბაღის გეგმა. ბირჟის გახსნა; საქალაქო საზოგადოებრივი ბანკის დაარსება; ბაზრებისა და სავაჭრო მოედნების გახსნა; უწყებები ფასების შესახებ; თბილისის ვაჭართა სიები, შემოსავალ-გასავლის უწყისები, ქურებისა და შესახვევების სახელწოდებები, ქურების გეგმები. ქალაქის მოსახლეობის კამერალური აღწერა და სტატისტიკური მონაცემები მასზე. სახელოსნო სასწავლებლის, სახალხო უნივერსიტეტისა და პოლიტექნიკური მუზეუმის დაარსება; მუსლიმური საქველმოქმედო საზოგადოების, ნატიფ ხელოვნებათა წახალისების კავკასიის საზოგადოების გამგეობის, თბილისის საქალაქო გამგეობის ანგარიშები. დებულებები ქართული საზოგადოება „განათლებისა“ და თბილისის სახელოსნო სასწავლებლის შესახებ; ქალაქის სკოლების სიები; უწყისები დაწყებით სასწავლებლებში მოსწავლეთა რაოდენობის შესახებ. კავკასიამცოდნეობის უმაღლესი კურსების დაარსება. ისტორიულ-არქეოლოგიური ინსტიტუტის, თბილისის დაწყებითი სასწავლებლის; ა.პუშკინის სახელობის საქალაქო ბიბლიოთეკის გახსნა; გაზეთ „იზვესტია ტბილისკოი გოროდსკოი დუმი“-ს გამოცემა.

არამიანცისა და ზუბალაშვილის ბავშვთა საავადმყოფოების აშენება; თბილისის ბალნეოლოგიური სადგურისა და სასწრაფო სამედიცინო დახმარების საზოგადოების მოწყობა. ეპიდემიებთან ბრძოლა თბილისში ექიმთა და ბუნებისმეტყველთა XIII ყრილობისა და ქოლერასთან ბრძოლის ქალაქის მოღვაწეთა II ყრილობის ჩატარების შესახებ.

დოკუმენტები გრ.ორბელიანის, ნ.გოგოლის, ი.ჭავჭავაძის ძეგლების დადგმის, ი.გოგებაშვილის, ბ.ბელინსკის, ა.პუშკინის, მ.ლერმონტოვის, ვ.ჟუკოვსკის იუბილეების ჩატარების შესახებ.

ახალციხის ქალაქის გამგეობა

ფონდის ნომერი	193	ძველი ნომერი	582	ფონდის შექმნის თარიღი	შემოსვლის თარიღი
				1876	1943
აღწერების რაოდ.	2	საქმეთა რაოდ.	122	კიდური თარიღები	ძირითადი ენა რუსული
				1876-1918	
ფონდშემქმნელი:					
მონაპოვრის წყარო:					
აღწერების სახელწოდება:					
შენიშვნები:					

ახალციხის ქალაქის სათათბიროს სხდომათა წიგნები. ახალციხის ქალაქის გამგეობისა და სავაჭრო პოლიციის დებულებები და ინსტრუქციები. შინაგან საქმეთა სამინისტროს ცირკულარები.

მოხსენებები, მიმონერა შემდეგ საკითხებზე: სავაჭრო პოლიციის დაარსება; საეკლესიო მამასახლისების არჩევა; მოსახლეობის კამერალური აღწერა; ქალაქის კეთილმოწყობა. სამხე-

დრო საჭიროებისათვის ხარჯების განწევა; ჯარების გადაადგილება. სავაჭრო და სამრეწველო დაწესებულებების დაბეგვრა; ფასები სურსათსა და ფურაჟზე; პურსა და ხორცზე ნიხრის დაწესება; მინის ნაკვეთების აღრიცხვა. უძრავი ქონების შემოსავლები; ცნობები მოსახლეობის ქონებრივი მდგომარეობისა და სოციალური წარმოშობის შესახებ; გადასახადების ამოღება; მინების უკანონო მიტაცებასთან ბრძოლა. მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა. დამფუძნებელი კრების არჩევა. სასწავლო დაწესებულებების შენახვა; აფთიაქების გახსნა; ეპიდემიებთან ბრძოლა. ელექტროსადგურის მონყობა. სავაჭრო დეპუტატების არჩევა; ქალაქის საზოგადოებრივი მმართველობის საქმიანობა (1912 წ.); ახალციხის ვაჭართა და მრეწველთა, ქალაქის გამგეობისა და მილიციის თანამშრომელთა სია.

ქალაქ თელავის მამასახლისი

ფონდის ნომერი	197	ძველი ნომერი	619	ფონდის შექმნის თარიღი	შემოსვლის თარიღი
				1896	1942
აღწერების რაოდ.	1	საქმეთა რაოდ.	61	კიდური თარიღები	ძირითადი ენა რუსული
				1897-197	
ფონდშემქმნელი: დოკუმენტები გამოყოფილია სხვადასხვა ფონდიდან					
მონაპოვრის წყარო:					
აღწერების სახელწოდება:					
შენიშვნები:					

თელავის რწმუნებულთა კრების სხდომათა ოქმები; თელავის მოქალაქეთა მეშჩანებთა წოდებისადმი მიკუთვნება; საზოგადოების მიერ სხვადასხვა პირებზე გაცემული მონაპოვრები; მოსახლეობის თხოვნები სახლების ასაშენებლად ნებართვის მიცემის შესახებ; სახლების გეგმები; თელავის მოსახლეობის კამერალური სიები; ახალშობილთა მეტრიკული ამონაწერები; წვევამდელთა სიები.

ცნობები თელავის საქალაქო-საზოგადოებრივი მმართველობის საქმიანობის შესახებ; ქალაქის სათათბიროს არჩევნებში მონაწილე პირთა პირადი ბარათები; საარჩევნო ფურცლები.

შემოსავალ-გასავლის უწყისები.

თბილისის სახაზინო პალატის ცირკულარი საბინაო გადასახადების შესახებ.

თბილისის ვაჭართა გამგეობა

ფონდის ნომერი	198	ძველი ნომერი	120	ფონდის შექმნის თარიღი	შემოსვლის თარიღი
				1876	1923
აღწერების რაოდ.	1	საქმეთა რაოდ.	232	კიდური თარიღები	ძირითადი ენა რუსული
				1876-1920	
ფონდშემქმნელი: დაარსდა სახელწოდებით „თბილისის ვაჭართა გამგეობა“. 1888 წელს ეწოდა „თბილისის ვაჭართა მამასახლისი“. გაუქმდა 1917 წელს					
მონაპოვრის წყარო:					
აღწერების სახელწოდება:					
შენიშვნები: ძველი ანოტაცია					

თბილისის ვაჭართა გამგეობის დებულების პროექტი. თბილისის ვაჭართა გამგეობისა და კომერციული სასწავლებლის ანგარიშები.

მოხსენებები, მიმონერა შემდეგ საკითხებზე: თბილისში კომერციული სასამართლოს, კომერციული სასწავლებლებისა და სავაჭრო სკოლის დაარსება; ვაჭართა მამასახლისისა და მისი ამხანაგების არჩევა. 1916 წელს თბილისში მოსახლეობის მღელვარება. საქონლის ხან-

ძრისგან დაზღვევის საზოგადოების დაარსება. შემოწმებულობების შეგროვება სევესტოპოლის დამცველთა ძეგლების აღსადგენად. თბილისში ვაჭრობისა და მანუფაქტურის კომიტეტის დაარსების ბარათი.

თბილისის ხელოსანთა გაგზავნა

ფონდის ნომერი	199	ძველი ნომერი	214	ფონდის შექმნის თარიღი	შემოსვლის თარიღი
				1852	1929
აღწერების რაოდ.	1	საქმეთა რაოდ.	83	კიდური თარიღები	ძირითადი ენა რუსული
				1852-1921	
ფონდშემქმნელი:					
მონაპოვრის წყარო:					
აღწერების სახელწოდება:					
შენიშვნები:					

სხვადასხვა პირზე გაცემული მონებები ოსტატისა და ქვეოსტატის წოდების მინიჭების შესახებ.

ოქმები, გადწყვეტილებები, მიმონერა შემდეგ საკითხებზე: ხელოსანთა სამუშაო საათებისა და დღის ხანგრძლივობის განსაზღვრაზე; სასურსათო დახმარების განევაზე; შემოწმებულობის შეგროვებაზე.

გამგეობის ანგარიშები.

ხელოსანთა გამგეობის დეპუტატთა სიები და მისამართები.

კავკასიის სამოქალაქო ნაწილის მთავარმართებლის მთავარ სამმართველოსთან არსებული სამშენებლო-საგზაო კომიტეტი

ფონდის ნომერი	203	ძველი ნომერი	72	ფონდის შექმნის თარიღი	შემოსვლის თარიღი
				1868	1923
აღწერების რაოდ.	1	საქმეთა რაოდ.	981	კიდური თარიღები	ძირითადი ენა რუსული
				1868-1883	
ფონდშემქმნელი: დაარსდა სახელწოდებით „კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს სამშენებლო-საგზაო კომიტეტი.“ 1881 წელს ეწოდა „კავკასიის სამოქალაქო ნაწილის მთავარმართებლის მთავარ სამმართველოსთან არსებული სამშენებლო-საგზაო კომიტეტი“. გაუქმდა 1883 წელს					
მონაპოვრის წყარო:					
აღწერების სახელწოდება:					
შენიშვნები: კატალოგი					

სამშენებლო-საგზაო კომიტეტის წლიური ანგარიშები, სხდომათა ჟურნალები; გუბერნატორების ანგარიშები გზების მშენებლობის შესახებ. თბილისის, ბაქოს, ქუთაისის გუბერნიების გზების აღწერილობა. თბილისი-ბაქოს რკინიგზის მშენებლობის პროექტები. ინჟინერ გარყვანიშვილის ჩანაწერები სატრანზიტო გზების მოწყობის შესახებ.

მოსენებები, მიმონერა შემდეგ საკითხებზე: საგზაო ანაკრებები; გატარებული ტვირთის რაოდენობა; საგზაო და სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობა; თბილისში ასაგები შენობების პროექტების განხილვა და დამტკიცება; თბილისში საჯარო ბიბლიოთეკის, კლასიკური გიმნაზიის, კავკასიის მუზეუმის მშენებლობა; წყალსადენების მოწყობა. არქიტექტორ-აკადემიკოსის სიმონსონის ნამსახურობის სია. ინჟინერ გარსევანიშვილის პირადი საქმე.

თბილისის გუბერნიის მმართველობის სამშენებლო განყოფილება

ფონდის ნომერი	204	ძველი ნომერი	157	ფონდის შექმნის თარიღი	შემოსვლის თარიღი
				1864	1920
აღწერების რაოდ.	1	საქმეთა რაოდ.	4131	კიდური თარიღები	ძირითადი ენა რუსული
				1864-1919	
ფონდშემქმნელი:					
მონაპოვრის წყარო:					
აღწერების სახელწოდება:					
შენიშვნები: კატალოგი					

მასალები, მიმონერა შემდეგ საკითხებზე: თბილისის სამშენებლო კომისიის გაუქმება; თბილისის საგუბერნიო გამგეობასთან სამშენებლო განყოფილების დაარსება; ფუნიკულიორის ასაშენებლად მიწის გამოყოფა; კინემატოგრაფის ასაშენებლად გეგმის დამტკიცება; ქაშვეთის ეკლესიის პროექტი; კახეთის რკინიგზის მშენებლობა; დუშეთში ტელეფონის მოწყობა; წყალდიდობები თბილისის გუბერნიაში; ნავთლულის საკონსერვო ფაბრიკისა და თამბაქოს ფაბრიკის აშენება; ცირკის მშენებლობა; ქართული თეატრის შენობის შეკეთება; ეკლესიების, სახლების, სახაზინო ნაგებობების, ხიდების, გზების, ბაღების, მიწის ნაკვეთების გეგმებისა და ნახაზების დამტკიცება, მშენებლობა, შეკეთება, ქალაქის შემოგარენის კეთილმოწყობა. მაზრებში საქონლის ფასები. კავკასიაში საერთაშორისო საავტომობილო რბოლის მოწყობა. ფაბრიკა-ქარხნების გასახსნელად ნებართვის მიცემა; ელექტროსადგურების მოწყობა. ასაშენებელ და შესაკეთებელ ნაგებობათა გეგმები, ნახაზები.

თბილისის გუბერნიის სამშენებლო კომისია

ფონდის ნომერი	205	ძველი ნომერი	160	ფონდის შექმნის თარიღი	შემოსვლის თარიღი
				1835	
აღწერების რაოდ.	1	საქმეთა რაოდ.	2124	კიდური თარიღები	ძირითადი ენა რუსული
				1835-1864	
ფონდშემქმნელი: დაარსდა სახელწოდებით „საქართველოს საგუბერნიო სამშენებლო კომისია“. 1840 ეწოდა „საქართველო-იმერეთის სამშენებლო კომისია“, 1847 წელს – „თბილისის სამშენებლო კომისია“. გაუქმდა 1864 წ.					
მონაპოვრის წყარო:					
აღწერების სახელწოდება:					
შენიშვნები:					

მმართველი სენატის ბრძანებულებები. საჯარო შენობებისა და გზების მთავარი სამმართველოს ცირკულარები. საქართველო-იმერეთის სამოქალაქო გუბერნატორის ცირკულარები. მასალები, მიმონერა შემდეგ საკითხებზე: საქართველოს საგუბერნიო სამშენებლო კომისიის დაარსება; საქართველოს ქალაქების მომწყობი კომიტეტისა და თბილისის მომწყობი კომიტეტის გაუქმება; კავკასიაში სამშენებლო და საგზაო ნაწილის მმართველობის გარდაქმნა; თელავში ქართველ მეფეთა სასახლის შეკეთება; თბილისის ტიპოგრაფიის მოწყობა; „ზაკავკასი ვესტნიკის“ გამოცემა; ქარვასლის აშენება; ქართული სიგრიძისა და ნონის საზომი ერთეულების შესახებ; სარემონტო და სამშენებლო ხარჯთაღრიცხვების შედგენა და დამტკიცება; სახლების, ეკლესიების, ხიდების, ქუჩების მშენებლობა და შეკეთება; სახლების ასაშენებლად ნებართვის მიცემა; სახლების, მიწის ნაკვეთების პროექტები, გეგმები; სამშენებლო მასალის საცნობარო ფასები. საარქიტექტორო სასწავლებლის დებულება. წყალგაყვანილობის მოწყობა. კომისიის შემოსავალ-გასავლის ხარჯთაღრიცხვა.



გენერალ-ლეიტენანტ ჭავჭავაძის, დ.სარაჯიშვილის სახლების გეგმები. ციმბირში გადასახლებულ 1812 წლის მონაწილე ქართველ თავადაზნაურთა სია.

**კავკასიასა და ამიერკავკასიაში სანიჟინრო და სამხენებლო ანგარიშების
სარევიზიო კომისია**

ფონდის ნომერი	207	ძველი ნომერი	389	ფონდის შექმნის თარიღი	შემოსვლის თარიღი
				1847	1924
აღწერების რაოდ.	1	საქმეთა რაოდ.	115	კიდური თარიღები	ძირითადი ენა
				1846-1858	რუსული
ფონდშემქმნელი: დოკუმენტები გამოვლენილია სხვადასხვა ფონდიდან					
მონაპოვრის წყარო:					
აღწერების სახელწოდება:					
შენიშვნები:					

მოხსენებები, მიმონერა გზების, ხიდების, კაშხლების მშენებლობის შესახებ.

თბილისის სამხენებლო კომიტეტი

ფონდის ნომერი	208	ძველი ნომერი	323	ფონდის შექმნის თარიღი	შემოსვლის თარიღი
				1841	1920
აღწერების რაოდ.	1	საქმეთა რაოდ.	113	კიდური თარიღები	ძირითადი ენა
				1841-1843	რუსული
ფონდშემქმნელი:					
მონაპოვრის წყარო:					
აღწერების სახელწოდება:					
შენიშვნები:					

მასალები შემდეგ საკითხებზე: თბილისის მომწყობი კომისიის დაარსება; სამხენებლო კომისიის საქმეების კომიტეტში გადაცემა; გეგმების შედგენის წესები; ქალაქის საზოგადოებრივი ნაგებობების კომიტეტის გამგებლობაში გადაცემა; სახლების ასაშენებლად მიწის ნაკვეთების გამოყოფა; საგერბო გადასახადის აკრეფის წესი; სამხენებლო და სარემონტო სამუშაოების ხარჯთაღრიცხვების დამტკიცება; ქვაფენილების, გზების, შენობების შეკეთება; კომიტეტის შემოსავალ-გასავლის უწყისები. თბილისის ქუჩებისა და მოედნების სია.

თბილისის კეთილმოწყობის კომიტეტი

ფონდის ნომერი	209	ძველი ნომერი	162	ფონდის შექმნის თარიღი	შემოსვლის თარიღი
				1827	1920
აღწერების რაოდ.	1	საქმეთა რაოდ.	533	კიდური თარიღები	ძირითადი ენა
				1827-1836	რუსული
ფონდშემქმნელი:					
მონაპოვრის წყარო:					
აღწერების სახელწოდება:					
შენიშვნები:					

სენატის ბრძანებულება ქალაქებში კერძო სახლების მშენებლობის წესების შესახებ. მიწერილობები, მიმართვები, თხოვნები შემდეგ საკითხებზე: თბილისის კეთილმოწყობის კომიტეტი



ტის დაარსება; თბილისის კვარტლებისა და შემოგარენის დაპროექტება; სარემონტო სამუშაოთა ხარჯთაღრიცხვები; სამშენებლო გეგმების გაცემა; მიწის ნაკვეთების გეგმები. საშენ მასალათა ფასების უწყისები. მშენებლობისათვის მიწის ნაკვეთების გამოყოფა.

სომხურ-გრიგორიანული და ბერძნულ-ქართული ეკლესიების სიები.

თბილისის გარეუბნების გამიჯვნისა და კეთილმოწყობის კომისია

ფონდის ნომერი	210	ძველი ნომერი	163	ფონდის შექმნის თარიღი	შემოსვლის თარიღი
				1845	1920
აღწერების რაოდ.	1	საქმეთა რაოდ.	486	კიდური თარიღები	ძირითადი ენა რუსული
				1845-1864	
ფონდშემქმნელი:					
მონაპოვრის წყარო:					
აღწერების სახელწოდება:					
შენიშვნები:					

მიწის ნაკვეთების გამოყოფა სახლების ასაშენებლად, სახლების გეგმების დამტკიცება, ეკლესიების აშენება, ქუჩების მოწყობა.

საქართველოს ქალაქების კეთილმოწყობის კომიტეტი

ფონდის ნომერი	211	ძველი ნომერი	161	ფონდის შექმნის თარიღი	შემოსვლის თარიღი
				1836	1920
აღწერების რაოდ.	1	საქმეთა რაოდ.	220	კიდური თარიღები	ძირითადი ენა რუსული
				1836-1838	
ფონდშემქმნელი:					
მონაპოვრის წყარო:					
აღწერების სახელწოდება:					
შენიშვნები:					

საქართველოს ქალაქების კეთილმოწყობის კომიტეტისა და მისი კანცელარიის დაარსების დებულება. კომიტეტის დადგენილებები სახაზინო და კერძო მშენებლობისათვის მიწების გამოყოფის, სახლების ფასადებისა და გეგმების დამტკიცების, ქუჩებისა და მოედნების კეთილმოწყობის შესახებ.

თბილისში არსენალის დაბის მომწყობის კომისია

ფონდის ნომერი	212	ძველი ნომერი	324	ფონდის შექმნის თარიღი	შემოსვლის თარიღი
				1878	1920
აღწერების რაოდ.	1	საქმეთა რაოდ.	4	კიდური თარიღები	ძირითადი ენა რუსული
				1878-1883	
ფონდშემქმნელი:					
მონაპოვრის წყარო:					
აღწერების სახელწოდება:					
შენიშვნები:					

კომისიის სხდომათა ოქმები. მიმონერა დაბის მოწყობის, საადგილმამულო დავების გადაწყვეტის შესახებ.

თბილისის გუბერნიის სათავადაზნაურო საკრებულო

ფონდის ნომერი	213	ძველი ნომერი	117	ფონდის შექმნის თარიღი	შემოსვლის თარიღი
				1818	1925
აღწერების რაოდ.	1	საქმეთა რაოდ.	2274	კიდური თარიღები	ძირითადი ენა რუსული
				1817-1917	
ფონდშემქმნელი: დაარსდა სახელწოდებით „საქართველოს თავადაზნაურთა დეპუტატების საკრებულო“. 1840 წელს ეწოდა „საქართველო-იმერეთის თავადაზნაურთა დეპუტატების საკრებულო“, 1847 წელს – „თბილისის თავადაზნაურთა დეპუტატების საკრებულო“. გაუქმდა 1917 წელს					
მონაპოვრის წყარო:					
აღწერების სახელწოდება:					
შენიშვნები:					

კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოსა და საბჭოს დებულებები. თბილისის თავადაზნაურთა დეპუტატების საკრებულოს გახსნა; დებულებები ამიერკავკასიაში საერობო დანებებულებების გახსნის, თერგის ოლქის მართვის შესახებ. თბილისისა და ქუთაისის თავადაზნაურთა დეპუტატების საკრებულოს მუშაობის წესები.

თბილისის თავადაზნაურთა დეპუტატების საკრებულოს სხდომათა ოქმები; საქართველოს თავადაზნაურთა სიები; ქართველ თავადთა საგვარეულო.

მოხსენებები, მიმონერა კახეთის რკინიგზის მშენებლობის, დაღესტნის ქედზე გზის გაყვანის, თბილისში სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო გამოფენის (1901 წ.) მოწყობის შესახებ. თბილისის სათავადაზნაურო ბანკის წესდება.

მოიხსენიებიან: ნ.ბარათაშვილი, დიმ.ყიფიანი, ი.ჭავჭავაძე, აკ.წერეთელი, ვ.ბარნოვი, შ.მღვიმელი, ი.კარგარეთელი, ზ.ფალიაშვილი, ი.გრიშაშვილი, პ.ინგოროყვა.

თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლი

ფონდის ნომერი	214	ძველი ნომერი	118	ფონდის შექმნის თარიღი	შემოსვლის თარიღი
				1817	1925
აღწერების რაოდ.	1	საქმეთა რაოდ.	3911	კიდური თარიღები	ძირითადი ენა რუსული
				1817-1917	
ფონდშემქმნელი:					
მონაპოვრის წყარო:					
აღწერების სახელწოდება:					
შენიშვნები:					

დებულება საერობო დამცველების შესახებ.

თავადაზნაურთა სიები. თბილისის სათავადაზნაურო ბანკის წესდება; მოსკოვში მცხოვრებ ქართველთა საზოგადოების წესდება.

მოხსენებები, ცირკულარები, მიმონერა შემდეგ საკითხებზე: საგვარეულო წიგნების შემოღება; 1804 და 1812 წლების აჯანყებებში აზნაურთა მონაწილეობა; სახელმწიფო საბჭოსა და სახელმწიფო სათათბიროს არჩევნების ჩატარება; უწყისები აზნაურთა რაოდენობის შესახებ. ბატონყმობიდან გლეხების განთავისუფლება; მემამულეთა გლეხების ყოფა-ცხოვრების მოწყობა; დიმ.ყიფიანის პროექტი გლეხების ბატონყმობისგან განთავისუფლების შესახებ; მემამულეთა გლეხების კამერალური აღწერილობა; გლეხების სხვა გუბერნიებში გადასახლების წესები; დროებითვალდებულ გლეხთა გადასახადები; თბილისის გუბერნიის გლეხების რაოდენობა; ამიერკავკასიის საერობო გადასახადების ხარჯთაღრიცხვა; კახეთის რკინიგზის მშენებლობა.



ყურძნის დაავადებებთან ბრძოლა; სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების მოღვაწეობა; მეღვინეობისა და მეფრინველეობის სკოლების გახსნა.

თბილისის საჯარო ბიბლიოთეკის, ქალთა პანსიონატის, დუშეთის სასწავლებლის, ამიერ-კავკასიის ქალთა ინსტიტუტის, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების დაარსება; ქართული სტამბის დაარსების 200 წლისთავის აღნიშვნა; თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტისა და მუზეუმის შენობების აგება; ძეგლების რესტავრაცია და აღდგენა; ქანისში არქეოლოგიური სამუშაოების შესახებ; ქართული სცენის მოღვაწეთა I ყრილობის შესახებ; ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მოღვაწეობა; გაზეთების გამოცემა; თბილისში ექიმთა XXIII ყრილობის ჩატარება; კავკასიის სამედიცინო საზოგადოების მოღვაწეობა; ი.ჭავჭავაძის, თ.ჟორდანიას, ნ.ლომოურის, ვაჟა-ფშაველას, ალ.სარაჯიშვილის გარდაცვალება. დ.ყიფიანის, გ.სუნდუკიანის ხსოვნის უკვდავყოფა; ე.გაბაშვილის, ვ.გუნიას, კ.მესხის, ი.ნაკაშიძის, ა.სუმბათაშვილ-იუჟინის, აკ.წერეთლის იუბილეების ჩატარება.

დიმ.ყიფიანის ნამსახურობის სია.

თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საადგილმამულო კომისია

ფონდის ნომერი	215	ძველი ნომერი	119	ფონდის შექმნის თარიღი	შემოსვლის თარიღი
				1907	1925
აღწერების რაოდ.	1	საქმეთა რაოდ.	468	კიდური თარიღები	ძირითადი ენა რუსული
				1907-1916	
ფონდშემქმნელი:					
მონაპოვრის წყარო:					
აღწერების სახელწოდება:					
შენიშვნები:					

კომისიის ანგარიშები. მასალები, მიმონერა შემდეგ საკითხებზე: გლეხთა მღელვარება; საერო დებულების შემოღება; დროებითვალდებულ გლეხთა მიერ მიწის ნაკვეთების გამო-სყიდვა; არდაგანის ოლქში ჯავახეთიდან გლეხების გადასახლება; ოსებისა და მცირემიწიანი გლეხებისათვის საგანგებო საგადასახლებო კომისიის შექმნა; გერმანული მიწათმფლობელო-ბის ლიკვიდაცია; მესაქონლეობისა და მეცხვარეობის საზოგადოებისათვის სესხის გაცემა; სოფლებში წყალსადენების გაყვანა; გურჯაანში ახტალის სამკურნალო ტალახის გამოყენება; კახეთის რკინიგზაზე სამუშაოთა წარმოება; საადგილმამულო კომისიასთან ჰიგიენური, ტექნიკური და აგრარული სექციების შექმნა; ფილოქსერასთან ბრძოლა; არხების გაყვანა; ჭაობების დაშრობა; სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლების, თბილისის კერძო აგრონომიული ინსტიტუტის, საკრედიტო ამხანაგობების, კოოპერატიული საზოგადოებების დაარსება; სათავადაზნაურო ურთიერთდახმარების სალაროს გახსნა; კავკასიის სამელიორაციო ყრილობის ჩატარება; სამომხმარებლო ამხანაგობებისა და საზოგადოებებისათვის სესხების გაცემა. საქართველოს კულტურულ დაწესებულებათა წარმომადგენლების თათბირის მოწვევა. დ.ყიფიანის ხსოვნის უკვდავყოფა..

კავკასიის მეფისნაცვლის მთავარ სამმართველოსთან არსებული გლეხთა მომწყოვი კომიტატი

ფონდის ნომერი	218	ძველი ნომერი	609	ფონდის შექმნის თარიღი	შემოსვლის თარიღი
				1864	1923
აღწერების რაოდ.	1	საქმეთა რაოდ.	17	კიდური თარიღები	ძირითადი ენა რუსული
				1864-1877	
ფონდშემქმნელი:					

მონაპოვრის წყარო:
აღწერების სახელწოდება:
შენიშვნები:

კომიტეტის სხდომათა ჟურნალები. ამიერკავკასიის მხარის საგლეხო კანონმდებლობა.

**კავკასიისა და ამიერკავკასიის მოქალაქეთა საქმიანობის მოგვარების
დროებითი განყოფილება**

ფონდის ნომერი 219	ძველი ნომერი 66	ფონდის შექმნის თარიღი 1857	შემოსვლის თარიღი 1923
აღწერების რაოდ. 1	საქმეთა რაოდ. 114	კიდური თარიღები 1857-1868	ძირითადი ენა რუსული
ფონდშემქმნელი:			
მონაპოვრის წყარო:			
აღწერების სახელწოდება:			
შენიშვნები: კატალოგი			

კავკასიის მთიელთა მართვის დებულება; დებულების პროექტი ამიერკავკასიის საგუბერ-ნიო გამგეობების შესახებ.

მოხსენებები, დებულებები, მიმონერა შემდეგ საკითხებზე: კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს, ერევნის გუბერნიის საერობო პოლიციის, ადგილობრივი მმართველობებისა და კავკასიის სამოქალაქო უწყებების სამედიცინო ნაწილის მართვის გარდაქმნა; ქუთაისის საგუბერნიო გამგეობის გაუქმება; თბილისის გუბერნიის ახალი ადმინისტრაციული დაყოფა; თბილისის გუბერნიაში პოლიციის გარდაქმნა. თბილისში სამისამართო კანტორის დაარსება; საპორტო ქალაქ ტემრიუკის დასახლება; ციხესიმაგრე ვლადიკავკაზის ქალაქად გარდაქმნა; ამიერკავკასიის ფინანსური მდგომარეობა.

წმ.ნინოს ქალთა საქველმოქმედო საზოგადოების წესდება; ბაქოში საქველმოქმედო საზოგადოების დაარსება; თბილისისა და სტავროპოლის სასულიერო სემინარიებთან მთიელ ხალხთა ენების შესასწავლად განსაკუთრებული კლასების დაარსება. ქ.ეისკში საავადმყოფოს დაარსება; კავკასიის სამედიცინო საზოგადოების დაფუძნება; საქართველოში ეკლესიების მშენებლობა.

**კავკასიის სამოქალაქო ნაწილის მთავარმართებლის მთავარ
სამმართველოსთან არსებული გლეხთა საქმეთა მოგვარების კანცელარია**

ფონდის ნომერი 220	ძველი ნომერი 67	ფონდის შექმნის თარიღი 1864	შემოსვლის თარიღი 1923
აღწერების რაოდ. 1	საქმეთა რაოდ. 1134	კიდური თარიღები 1864-1883	ძირითადი ენა რუსული
ფონდშემქმნელი:			
მონაპოვრის წყარო:			
აღწერების სახელწოდება:			
შენიშვნები:			

მმართველი სენატის ბრძანებულებები. მოხსენებები, მიმონერა შემდეგ საკითხებზე: გლეხთა მოწყობის საქმეთა კანცელარიისა და გლეხთა მოწყობის კომიტეტის დაარსება; ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის თანამდებობის გაუქმება, ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის-სა-

მოქალაქო ნაწილის მმართველის თანამდებობის აღდგენა; სამეგრელოს ცენტრალური მმართველობის გაუქმება; ამიერკავკასიაში ბატონყმობის გაუქმება. დებულება გლეხთა მონყო-ბის შესახებ. ამიერკავკასიის სახაზინო პალატის გარდაქმნა; ამიერკავკასიის მმართველობის გარდაქმნა. გადასახადების აკრეფა; გლეხებისათვის მიწის ნაკვეთების გამოყოფა; გლეხების მიერ მიწების შესყიდვა; სამეგრელოს საეკლესიო მამულების ხაზინისათვის გადაცემა. საადგილმამულო დავების გარჩევა. ამიერკავკასიის გლეხების შესახებ დებულებების კოდიფიკაცია. თბილისის გუბერნიაში სოფლის სკოლების მონყობა. დებულება ამიერკავკასიის მაჰ-მადიანური სამღვდლოების მართვის შესახებ. ამიერკავკასიის სამოქალაქო მმართველობის ხარჯთაღრიცხვა. უწყისები საერო და სახაზინო გადასახადების შესახებ. რუსეთ-ბელგიის საფოსტო კონვენცია (1872 წ.).

მოიხსენიებიან: გ.დადიანი, დ.ორბელიანი, ბაგრატიონ-მუხრანელი.

საპატონო გლეხების ამიერკავკასიის მთავარი კომიტეტი

ფონდის ნომერი	221	ძველი ნომერი	322	ფონდის შექმნის თარიღი	შემოსვლის თარიღი
				1861	1923
აღწერების რაოდ.	1	საქმეთა რაოდ.	13	კიდური თარიღები	ძირითადი ენა რუსული
				1861-1864	
ფონდშემქმნელი:					
მონაპოვრის წყარო:					
აღწერების სახელწოდება:					
შენიშვნები:					

ბარათი საქართველოში ბატონყმობის შესახებ. კომიტეტის სხდომათა ჟურნალები. მიმოწერა გლეხთა მონყობის ცენტრალური კომიტეტის დაარსების შესახებ. დებულების პროექტი თბილისის გუბერნიის გლეხების ბატონყმობიდან განთავისუფლების შესახებ.

დ.ყიფიანის წერილი გლეხთა საკითხის შესახებ.

ამიერკავკასიაში ახალშენების მომწყობი კომისია

ფონდის ნომერი	222	ძველი ნომერი	72	ფონდის შექმნის თარიღი	შემოსვლის თარიღი
				1847	1925
აღწერების რაოდ.	1	საქმეთა რაოდ.	80	კიდური თარიღები	ძირითადი ენა რუსული
				1847-1850	
ფონდშემქმნელი:					
მონაპოვრის წყარო: რევეაკუირებულია ჩრდილო კავკასიიდან					
აღწერების სახელწოდება:					
შენიშვნები:					

კავკასიის მეფისნაცვლის მიწერილობა კომისიის დაარსების შესახებ.

მოხსენებები, ანგარიშები, მიმოწერა კომისიის საქმიანობის, რუსული დასახლებების მონყობისა და მათი მდგომარეობის, გასევე ადმოსახლებულთა გადასახადებისაგან განთავისუფლების შესახებ.

კავკასიაში გერმანელთა მინათმფლობელობის ლიკვიდაციის მეთვალყურე

ფონდის ნომერი	224	ძველი ნომერი	669	ფონდის შექმნის თარიღი	1916	შემოსვლის თარიღი	1923
აღწერების რაოდ.	1	საქმეთა რაოდ.	9	კიდური თარიღები	1916-1917	ძირითადი ენა	რუსული
ფონდშემქმნელი: დოკუმენტები გამოვლენილია სხვადასხვა ფონდიდან							
მონაპოვრის წყარო:							
აღწერების სახელწოდება:							
შენიშვნები:							

მიმონერა მეთვალყურის თანამდებობის შემოღების შესახებ. გერმანული მინათმფლობელობის ლიკვიდაცია თბილისის, ქუთაისის, სტავროპოლისა და შავიზღვისპირეთის გუბერნიებში, სოხუმისა და ყუბანის ოლქებში.

საქართველოში დასახლებულ კოლონისტთა მმართველობის კანტორა

ფონდის ნომერი	225	ძველი ნომერი	75	ფონდის შექმნის თარიღი	1818	შემოსვლის თარიღი	1925
აღწერების რაოდ.	1	საქმეთა რაოდ.	16	კიდური თარიღები	1818-1833	ძირითადი ენა	რუსული
ფონდშემქმნელი:							
მონაპოვრის წყარო:							
აღწერების სახელწოდება:							
შენიშვნები:							

მიმონერა კოლონისტების შესახებ; მონაცემების შეგროვება კანტორის თანამშრომელთა შესახებ; მოსამსახურეთა დანიშვნა, განთავსუფლება, ფორმულარული სიები; გერმანული კოლონიების კეთილმონყობა; კოლონიებს შორის მიწაზე დავის მონესრიგება. შემოსული და გასული ქაღალდების ჟურნალები.

გერმანული კოლონიებს ზედამხედველი ამიერკავკასიაში

ფონდის ნომერი	226	ძველი ნომერი	588	ფონდის შექმნის თარიღი	1850	შემოსვლის თარიღი	1925
აღწერების რაოდ.	1	საქმეთა რაოდ.	265	კიდური თარიღები	1850-1903	ძირითადი ენა	რუსული
ფონდშემქმნელი:							
მონაპოვრის წყარო:							
აღწერების სახელწოდება:							
შენიშვნები:							

მასალები, მინერილობები, მიმონერა შემდეგ საკითხებზე: გერმანული კოლონიების მდგომარეობა; ამიერკავკასიაში დასახლებების მოწყობა; კოლონისტთა სიების შედგენა; მღვდლების დანიშვნა; ეკლესიების მშენებლობა; კოლონისტების მიერ საზღვარგარეთ მემკვიდრეობის მიღება; საადგილმამულო დავების გარჩევა; სოფლის თავების დანიშვნა; კოლონიების შემოსავალ-გასავალი; კამერალური აღწერის ჩატარება; გადასახადების აკრეფა; ხიდების შეკეთება, არხების გაყვანა. კოლონიებში მომხდარი შემთხვევები.

გარეანული კოლონიების ზედამხედველი საქართველოში

ფონდის ნომერი	227	ძველი ნომერი	589	ფონდის შექმნის თარიღი	შემოსვლის თარიღი
				1833	1923
აღწერების რაოდ.	1	საქმეთა რაოდ.	52	კიდური თარიღები	ძირითადი ენა
				1833-1861	რუსული
ფონდშემქმნელი: დოკუმენტები გამოვლენილია 75 ფონდიდან					
მონაპოვრის წყარო:					
აღწერების სახელწოდება:					
შენიშვნები:					

მიმონერა შემდეგ საკითხებზე: კოლონიებში თანამდებობის პირების არჩევა; კოლონისტების გადაადგილება; საადგილმამულო დავების გარჩევა; ეკლესიების, სკოლების აშენება; სასმელებზე სააქციზო გადასახადის დანესება; შავი ჭირის გავრცელება; კოლონისტებისათვის მიწების გამოყოფა; სინოდში დეპუტატების არჩევა; კამერალური აღწერის ჩატარება; სომხებისათვის კოლონიებში ცხოვრების აკრძალვა. კოლონიების მდგომარეობის უწყისები.

მაჰმადიანური პროვინციების მომწყობი კომიტეტი

ფონდის ნომერი	228	ძველი ნომერი	598	ფონდის შექმნის თარიღი	შემოსვლის თარიღი
				1828	1923
აღწერების რაოდ.	1	საქმეთა რაოდ.	16	კიდური თარიღები	ძირითადი ენა
				1828-1835	რუსული
ფონდშემქმნელი: დოკუმენტები გამოვლენილია სხვადასხვა ფონდიდან					
მონაპოვრის წყარო:					
აღწერების სახელწოდება:					
შენიშვნები:					

მასალები კომიტეტის გახსნის შესახებ, მის მიზნებსა და ამოცანებზე; ამონაწერები კომიტეტის ჟურნალებიდან მაჰმადიანური პროვინციების მოწყობის შესახებ; კომიტეტის სხდომათა ოქმები; ფორმულარული სიები; მიმონერა პირადი შემადგენლობისა და შტატების შესახებ.

კავკასიის მეფისნაცვლის სამხედრო-სახალხო მმართველობის კანცელარია

ფონდის ნომერი	229	ძველი ნომერი	64	ფონდის შექმნის თარიღი	შემოსვლის თარიღი
				1883	1923
აღწერების რაოდ.	2	საქმეთა რაოდ.	4378	კიდური თარიღები	ძირითადი ენა
				1883-1909	რუსული
ფონდშემქმნელი: დაარსდა სახელწოდებით „მთავარმართებლის სამხედრო-სახალხო მმართველობის კანცელარია.“ 1905 წელს ეწოდა „კავკასიის მეფისნაცვლის სამხედრო-სახალხო მმართველობის კანცელარია“					
მონაპოვრის წყარო:					
აღწერების სახელწოდება:					
შენიშვნები: კატალოგი					

თერგისა და დაღესტნის ოლქების უფროსების ანგარიშები. დაღესტნისა და ყარსის ოლქების მიმოხილვა.

დებულებები, მოხსენებები, ინსტრუქციები, მიმონერა შემდეგ საკითხებზე: კავკასიის სამხედრო-სახალხო მმართველობის გაუქმება; კავკასიაში სამოქალაქო ნაწილის მთავარმარ-

თებელთან სამხედრო-სახალხო მმართველობის კანცელარიის დაარსება; საგადასახადო ინსპექტორების თანამდებობის შემოღება; დაღესტნისა და ყარსის ოლქებში სასამართლო ნაწილის მონყოლა; სამხედრო გუბერნატორების უფლებები და მოვალეობები; ყარსის, ბათუმის, ართვინის ოლქებისა და ქუთაისის გუბერნიის სასოფლო მმართველობის შესახებ; ყუბანისა და თერგის ოლქების მმართველობის გარდაქმნა; დაღესტნის ოლქში სამართალწარმოების შესახებ; დაღესტნის ოლქში სამეცნიერო საარქივო კომისიისა და მუზეუმის დაარსება.

ბატონყობიდან განთავისუფლებულ დუშეთის მაზრის გლეხთა სია; უწყებები ზაქათალის ოლქში პროვიანტსა და ფურაჟზე საცნობარო ფასების შესახებ.

**კავკასიის მეფისნაცვლის სამხედრო-სახალხო მმართველობის კანცელარიის
წოდებრივ-საადგილმამულო საქმეთა კომისია**

ფონდის ნომერი	231	ძველი ნომერი	65	ფონდის შექმნის თარიღი	შემოსვლის თარიღი
				1883	1923
აღწერების რაოდ.	1	საქმეთა რაოდ.	483	კიდური თარიღები	ძირითადი ენა რუსული
				1883-1909	
ფონდშემქმნელი:					
მონაპოვრის წყარო:					
აღწერების სახელწოდება:					
შენიშვნები:					

კომისიის ანგარიშები, მოხსენებები, სხდომათა ოქმები.

მასალები, მიმონერა შემდეგ საკითხებზე: წოდებრივ-საადგილმამულო ურთიერთობები აფხაზეთში; სოხუმის ოლქში წოდებრივ-საადგილმამულო კომისიის დაარსება; ყარსისა და ბათუმის ოლქების მცხოვრებთა თურქეთში გადასახლება; ყარსის ოლქის კოლონიზაცია; სოხუმის, ზაქათალის, სამხრეთ-დაღესტნის ოლქების წოდებრივ-საადგილმამულო კომისიების მოღვაწეობა; სამხედრო სახალხო მმართველობის გარდაქმნა; დაბებში სამოქალაქო მმართველობის შემოღება; სოხუმის ოლქში მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობის გახსნა; ბათუმისა და ყარსის ოლქების საადგილმამულო მონყოლა; მთიელთა წოდებრივი უფლებების გარჩევა; მინის ნაკვეთების გამოყოფა; საადგილმამულო უფლებების გარჩევა; შერვაშიძეების საადგილმამულო უფლებების აღდგენა; მუსლიმური პროვინციების მაჰმადიანთა წოდებრივი უფლებების განსაზღვრა; თავადაზნაურობის წარმოშობის დამადასტურებელი დოკუმენტების გაცემა; ზაქათალის ოლქისა და ნუხის მაზრის გამიჯვნა; მადნეულის მოპოვება; საადგილმამულო დაგების გარჩევა; კამერალური აღწერის ჩატარება; სამიჯნო სამუშაოების წარმოება; სახალხო სასამართლოებში საქმის წარმოების წესის შესახებ; აფხაზეთის (1877-78 წწ.) აჯანყების მონაწილეთა შესახებ; მინების მიტაცება; სასწავლო დაწესებულებების გარდაქმნა; ეკლესიების აშენება, შეკეთება; თბილისის საბეგო კომისიაში არჩევის წესის შესახებ; საძოვრების განაწილება; ეპიდემიებთან ბრძოლა.

სოხუმის საადგილმამულო კომისიის სხდომათა ყურნალები და მოხსენებები. ტყვარჩელისა და ოქუშის ხეობების გეგმები. სამხედრო-სახალხო მმართველობის ისტორიული მიმოხილვა. დებულება ბათუმის ოლქის მმართველობის შესახებ. ისტორიული ცნობები სოხუმის ოლქის შესახებ. ბეგებისა და ნაიბების სიები. თბილისის საბეგო კომისიაში არჩევის წესები. ნიკოლოზ I სიგელები, ნიკოლოზ II მანიფესტი იაპონიასთან ომის და სხვ. შესახებ.

მოიხსენიება ა.გ.ჭავჭავაძე.

**თბილისის პირველხარისხოვანი მოქალაქეებისათვის შთამომავლობითი
საკატიო მოქალაქის უფლებათა მიმნიჭებელი კომისია**

ფონდის ნომერი	233	ძველი ნომერი	545	ფონდის შექმნის თარიღი	შემოსვლის თარიღი
				1861	1923
აღწერების რაოდ.	1	საქმეთა რაოდ.	84	კიდური თარიღები	ძირითადი ენა
				1861-1862	რუსული
ფონდშემქმნელი: დოკუმენტები გამოვლენილია სხვადასხვა ფონდიდან					
მონაპოვრის წყარო:					
აღწერების სახელწოდება:					
შენიშვნები:					

ცირკულარები, ინსტრუქციები, მიმოწერა შემდეგ საკითხებზე: კომისიის მიზნები და ამოცანები; წევრთა არჩევნები; პირველხარისხოვან მოქალაქეთა სიები.

კომისიის ჟურნალები და რეესტრი;

სხვადასხვა პირის თხოვნები პირველხარისხოვანი მოქალაქის საკატიო წოდების მინიჭების შესახებ.

საქართველოს მეფეთა დოკუმენტების განხილველი კომისია

ფონდის ნომერი	234	ძველი ნომერი	68	ფონდის შექმნის თარიღი	შემოსვლის თარიღი
				1830	1923
აღწერების რაოდ.	2	საქმეთა რაოდ.	138	კიდური თარიღები	ძირითადი ენა
				1830-1839	რუსული
ფონდშემქმნელი:					
მონაპოვრის წყარო: მიღებულია ჩრდილო კავკასიიდან					
აღწერების სახელწოდება:					
შენიშვნები:					

კომისიის ანგარიშები. მიმოწერა, თხოვნები მეფეთა დოკუმენტების განხილვის, სააზნაურო წოდებაზე უფლებების განხილვის, ყალბი დოკუმენტების შედგენისათვის სხვადასხვა პირის პასუხისგებაში მიცემის შესახებ.

ზაქათალის ნოღაბრივ-საადგილმამულ კომისია

ფონდის ნომერი	236	ძველი ნომერი	78	ფონდის შექმნის თარიღი	შემოსვლის თარიღი
				1869	1923
აღწერების რაოდ.	2	საქმეთა რაოდ.	121	კიდური თარიღები	ძირითადი ენა
				1869-1883	რუსული
ფონდშემქმნელი:					
მონაპოვრის წყარო:					
აღწერების სახელწოდება:					
შენიშვნები:					

კომისიის ჟურნალები, თავმჯდომარის არჩევა, მოქმედების პროგრამა; წინა კომისიის საქმეთა აღწერა და უწყისები; კომისიის გადანაცვლებათა ჟურნალები; სამიჯნო სამუშაოთა ანგარიშები.

მიმოწერა კომისიის სეიდების საქმიანობის, უფლებების, პირთათვის ბეგობის წოდების დამტკიცების, წოდებრივი უფლებების გარჩევის, სუნიტური და შიიტური სწავლების მაჰ-

მადიანური სამღვდლოების წოდებრივი უფლებების შესახებ; მონაცემები მაღალი წოდების წარმომადგენელთა შესახებ, მათი ოჯახური სიები. ამიერკავკასიის მცხოვრებთა წოდებრივ საადგილმამულო მოწყობის პროექტი. კომისიის ხარჯთაღრიცხვა.

**კავკასიისა და ამიერკავკასიის სოფლის მეურნეობის და
მრეწველობის სამმართველო**

ფონდის ნომერი	238	ძველი ნომერი	71	ფონდის შექმნის თარიღი	შემოსვლის თარიღი
				1858	1823
აღწერების რაოდ.	3	საქმეთა რაოდ.	267	კიდური თარიღები	ძირითადი ენა რუსული
				1858-1864	
ფონდშემქმნელი: დაარსდა სახელწოდებით „კავკასიისა და ამიერკავკასიის უცხოელთა დასახლების სოფლის მეურნეობის საგანგებო სამმართველო“. 1860 წელს ეწოდა „კავკასიისა და ამიერკავკასიის სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის სამმართველო.“ გაუქმდა 1864 წელს					
მონაპოვრის წყარო:					
აღწერების სახელწოდება:					
შენიშვნები:					

მიმონერა სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო საწარმოებისათვის დახმარების გაწევის შესახებ. თხოვნები ტექნიკური კულტურების მოსაშენებლად მიწების გამოყოფის შესახებ. მეტყევეთა ანგარიშები. უწყებები ამიერკავკასიის გერმანელთა კოლონიების მდგომარეობის შესახებ. სახაზინო ბაღების შენახვის ხარჯთაღრიცხვები.

**მეფისნაცვლის მთავარ სამმართველოსთან არსებული
ამიერკავკასიის სახელმწიფო ქონების ექსპედიცია**

ფონდის ნომერი	239	ძველი ნომერი	23	ფონდის შექმნის თარიღი	შემოსვლის თარიღი
				1850	1923
აღწერების რაოდ.	1	საქმეთა რაოდ.	951	კიდური თარიღები	ძირითადი ენა რუსული
				1850-1859	
ფონდშემქმნელი:					
მონაპოვრის წყარო: მასალები რევეაკუირებულია ჩრდილო კავკასიიდან					
აღწერების სახელწოდება:					
შენიშვნები: კატალოგი					

საერთო საკრებულოს სხდომათა აქტები.

მოხსენებები, უწყებები, მიმონერა შემდეგ საკითხებზე: სახელმწიფო ქონების ექსპედიციის გახსნა; პურის მოსავალი თბილისის გუბერნიის სოფლებში; სახელმწიფო გლეხებისათვის მიწების გამოყოფა; გლეხების ერთი თანრიგიდან მეორეში გადაყვანა; გლეხების დაბეგვრა. სოფლის მეურნეობის მავნებლებთან ბრძოლა; თბილისის ბოტანიკური ბაღის, თბილისის მეზღვეობის სასწავლებლისა და სოფლის სასწავლებლების დაარსება; ბორჯომის სახელმწიფო მამულში სატყეო მეურნეობის მოწყობა. გერმანული კოლონიების დაარსება და კოლონისტებისათვის მიწის ნაკვეთების გამოყოფა.

**კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს სახელმწიფო
ქონების დეპარტამენტი**

ფონდის ნომერი	240	ძველი ნომერი	24	ფონდის შექმნის თარიღი	1859	შემოსვლის თარიღი	1923
აღწერების რაოდ.	2	საქმეთა რაოდ.	2160	კიდური თარიღები	1859-1867	ძირითადი ენა	რუსული
ფონდშემქმნელი:							
მონაპოვრის წყარო: რევეაკუირებულია ჩრდილო კავკასიიდან							
აღწერების სახელწოდება:							
შენიშვნები:							

კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს საკონტროლო დეპარტამენტის დებულება.

ცნობები, უწყებები, მიმონერა შემდეგ საკითხებზე: კავკასიისა და ამიერკავკასიის მხარის მთავარი სამმართველოს გარდაქმნა; სახელმწიფო ქონების დეპარტამენტის გახსნა; სახელმწიფო ქონების ექსპედიციასთან საეკლესიო ქონების სამმართველოს გახსნა; სოფლის საზოგადოებების მართვა; ზაქათალის ოლქის მართვა. კავკასიაში გერმანული კოლონიების მდგომარეობა; ერევნის გუბერნიაში რუსული დასახლებების მოწყობა; ბაზრებისა და ბაზრობების გახსნა, ასევე კერძო სპილენძსადნობი ქარხნების შესახებ.

ამიერკავკასიის გავლით სპარსეთში და სპარსეთიდან ევროპაში საქონლის ტრანზიტის წესები.

**კავკასიის სამოქალაქო ნაწილის მთავარმართებლის მთავარ
სამმართველოსთან არსებული სახელმწიფო ქონების, ტყეების, სოფლის
მეურნეობისა და მრეწველობის სამმართველო**

ფონდის ნომერი	241	ძველი ნომერი	25	ფონდის შექმნის თარიღი	1868	შემოსვლის თარიღი	1923
აღწერების რაოდ.	5	საქმეთა რაოდ.	2545	კიდური თარიღები	1868-1883	ძირითადი ენა	რუსული
ფონდშემქმნელი:							
მონაპოვრის წყარო:							
აღწერების სახელწოდება: აღწერა 1. – განმკარგულებელი განყოფილება, აღწერა 2. – სატყეო განყოფილება, აღწერა 3. – სასოფლო-სამეურნეო განყოფილება, აღწერა 4. – სასამართლო განყოფილება, აღწერა 5. – უსათაურო							
შენიშვნები: კატალოგი							

სახელმწიფო ქონების სამმართველოს ანგარიშები. სახელმწიფო და დროებითვალდებული გლეხების სტატისტიკური მონაცემები.

ჩანაწერები, მიმონერა შემდეგ საკითხებზე: ამიერკავკასიაში თამბაქოზე აქციზის შემოღება; სარწყავი არხების გაყვანა; ხიდების მშენებლობა; სრულიად რუსეთის სასოფლო-სამეურნეო გამოფენებზე კავკასიის განყოფილების დაარსება; სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებათა წესდებების დამტკიცება; სახელმწიფო ქონების დეპარტამენტის გაუქმება; კავკასიის მეფისნაცვლის მთავარ სამმართველოსთან არსებული სახელმწიფო ქონების, სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის სამმართველოს და საგუბერნიო სამმართველოების გაუქმება; სატყეოს დაარსება; სასოფლო-სამეურნეო სკოლების გახსნა; შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაპირის დასახლება; ყარსის ოლქის დასახლება; გაზეთ „მწყემსი“-ს და „სასოფლო გაზეთი“-ს გამოცემა; სამრეწველო მნიშვნელობის მქონე სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოშენება;

უნყებები ფაბრიკებსა და ქარხნების შესახებ; გერმანული კოლონიების შექმნისა და მათი მდგომარეობის ცნობები.

ჩანაწერები: „შავიზღვისპირეთის ოლქის პალმის ტყეები“, „კავკასიის შავიზღვისპირეთი და მისი კოლონიზაცია“, „ამიერკავკასიის მხარის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილის წყლების ტოპოგრაფიული აღწერილობა“, ინჟინერ გარსევანიშვილის ჩანაწერი შავიზღვისპირეთის ოლქის ზღვისპირა გზის მშენებლობის შესახებ.

მოიხსენიებიან: დ. ყიფიანი, გ. სუნდუკიანი.

კავკასიაში მინათმოქმედების სამინისტროს რწმუნებულთან არსებული ახალ-მოქმედება დასახლების საქმეთა გაგზავნილი

ფონდის ნომერი	242	ძველი ნომერი	88	ფონდის შექმნის თარიღი	1903	შემოსვლის თარიღი	1920
აღწერების რაოდ.	2	საქმეთა რაოდ.	1421	კიდური თარიღები	1903-1918	ძირითადი ენა	რუსული
ფონდშემქმნელი: დაარსდა სახელწოდებით „ახალმოქმედება დასახლების საქმეთა გამგებლის თანაშემწე“. 1906 წელს ეწოდა „კავკასიაში მეფისნაცვლის სამმართველოსთან არსებული ახალმოქმედება დასახლების საქმეთა გამგებელი“, 1909 წელს – „ამიერკავკასიაში მინათმოქმედების მთავარ სამმართველოსთან არსებული ახალმოქმედება დასახლების გამგებელი“, 1915 წელს – „მინათმოქმედების სამინისტროს რწმუნებულთან არსებული ახალმოქმედება დასახლების საქმეთა გამგებელი.“							
მონაპოვრის წყარო:							
აღწერების სახელწოდება:							
შენიშვნები:							

მოხსენებები, სტატისტიკური მონაცემები, მიმონერა შემდეგ საკითხებზე: საგადასახლებო დაწესებულებების დაარსება; კავკასიაში რუსებისათვის სახაზინო მიწების გამოყოფა, დუხო-ბორებისა და მოლაკების დასახლება, მათი ყოფა-ცხოვრების მონაცემები; სკოლების, ეკლესიების, ბაზრობების გახსნა; სამედიცინო და აგრონომიული დახმარება; ჰიდროტექნიკური სამუშაოების ჩატარება.

მინათმოქმედების მინისტრის რწმუნებული კავკასიაში

ფონდის ნომერი	243	ძველი ნომერი	90	ფონდის შექმნის თარიღი	1883	შემოსვლის თარიღი	1920
აღწერების რაოდ.	10	საქმეთა რაოდ.	4960	კიდური თარიღები	1883-1918	ძირითადი ენა	რუსული
ფონდშემქმნელი: დაარსდა სახელწოდებით „კავკასიაში სახელმწიფო ქონების სამინისტროს რწმუნებული.“ 1894 წელს ეწოდა „მინათმოქმედებისა და სახელმწიფო ქონების მინისტრის რწმუნებული კავკასიაში“, 1905 წელს – „კავკასიის მთავარმმართველის მინათმონებლისა და მინათმოქმედების რწმუნებული“, 1915 წელს – მინათმოქმედების მინისტრის რწმუნებული კავკასიაში.“							
მონაპოვრის წყარო:							
აღწერების სახელწოდება: აღწერა 1. – საინსპექტორო და საერთო ნაწილი, აღწერა 2. – საინსპექტორო ნაწილი, აღწერა 3. – სატყეო-საინსპექტორო ნაწილი, აღწერა 4. – სატყეო და ტყის მომწყობი ნაწილი, აღწერა 5. – სამინათმომწყობო ნაწილი, აღწერა 6. – სასაძოვრო-სამიჯნო ნაწილი, აღწერა 7. – სასოფლო-სამეურნეო ნაწილი, აღწერა 8. – საბუღალტრო-სამდივნო ნაწილი, აღწერა 9. – სამინათმომწყობო ნაწილი							
შენიშვნები:							

მინათმოქმედებისა და სახელმწიფო ქონების სამმართველოების, სატყეო სამმართველოსა და სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებების ანგარიშები. ტყის დაცვის საგუბერნიო კომიტე-

ტების, სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებების, მევენახეობისა და მინათმოქმედების კომიტეტების სხდომათა ჟურნალები.

მოხსენებები, მიმონერა შემდეგ საკითხებზე: სახელმწიფო ქონების ადგილობრივი სამმართველოებისა და სატყეო სამმართველოს დაარსება. სასარგებლო წიაღისეულის დამუშავება; გზატკეცილების მონყობა. ყარსის, ბათუმისა და ართვინის ოლქების მოსახლეობის საადგილმამულო მონყობა. საადგილმამულო დავების გადაწყვეტა. მინების მორწყვა; წყალდიდობასთან ბრძოლა; მებაღეობის, მეფუტკრეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის მდგომარეობა; მევენახეობისა და მეღვინეობის საგუბერნიო და საოლქო კომიტეტების მოღვაწეობა; მეაბრეშუმეობის სადგურისა და ბამბის მოშენების საცდელი მინდვრების მუშაობა; ჩაის მოშენება; მეთამბაქოება.

სოხუმის ბოტანიკური ბაღის გეგმა; ლეჩხუმის მაზრის ნიადაგის ანალიზების ტაბულა; ნარკვევი ამიერკავკასიაში მევენახეობის მოშენებაზე; ისტორიული ცნობა ყუბანის ოლქის მთიანი ნაწილის დასახლების შესახებ; თერგის ოლქის გლეხების ოჯახური სიები; კავკასიის სასოფლო-სამეურნეო დაწესებულებათა სიები; ამიერკავკასიის სახელმწიფო გლეხების სოფლების სია; უწყებები შავიზღვისპირეთის ოლქის მოსახლეობის რაოდენობაზე, ასევე თურქეთიდან გადმოსახლებულთათვის განკუთვნილი მინების შესახებ. ბარათი კავკასიაში წყლის სამმართველოს დაარსების შესახებ; ყარაიაზის მამულის საირიგაციო არხების გეგმა.

თბილისის მინათმოქმედებისა და სახელმწიფო ქონების სამმართველო

ფონდის ნომერი	244	ძველი ნომერი	87	ფონდის შექმნის თარიღი	1868	შემოსვლის თარიღი	1923
აღწერების რაოდ.	7	საქმეთა რაოდ.	7811	კიდური თარიღები	1868-1918	ძირითადი ენა	რუსული
ფონდშემქმნელი: დაარსდა სახელწოდებით „თბილისის გუბერნიის სახელმწიფო ქონების სამმართველო“. 1888 წელს ეწოდა „თბილისის გუბერნიისა და ზაქათალის ოლქის სახელმწიფო ქონების სამმართველო“, 1894 წელს – „თბილისის გუბერნიისა და ზაქათალის ოლქის მინათმოქმედებისა და სახელმწიფო ქონების სამმართველო“, 1905 წელს – „თბილისის მინათმოქმედებისა და სახელმწიფო ქონების სამმართველო.“							
მონაპოვრის წყარო:							
აღწერების სახელწოდება: აღწერა 1. – განმკარგულებელი განყოფ., აღწერა 2. – სამთო მაგიდა, აღწერა 3. – სამეურნეო, აღწერა 4. – სატყეო, აღწერა 5. – საგადასახადო-საარენდო, აღწერა 6. – სასამართლო-სამიჯნო, აღწერა 7. – სახელმწიფო ქონების გამგებლები, აგენტები							
შენიშვნები: კატალოგი							

სახელმწიფო ქონების სამმართველოს ანგარიშები. გერმანული კოლონიების შექმნა. გერმანელთა კოლონიების მდგომარეობის სტატისტიკური მონაცემები და მამასახლისების მოხსენებები.

მოხსენებები, მიმონერა სასარგებლო წიაღისეულის საძიებლად და მოსაპოვებლად ნებართვების შესახებ. ბაქოს ნავთობმრეწველთა I ყრილობის შრომები. სასოფლო თემებისა და თბილისის გუბერნიის სატყეოების სიები. სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო გამოფენის (თბილისი, 1906 წ.) პროგრამა. სამიჯნო სამუშაოების გეგმები.

რ.ერისთავის ავტოგრაფი. გ.სუნდუკიანცის ნამსახურობის სია.

თბილისის სახელმწიფო ქონების პალატა

ფონდის ნომერი	245	ძველი ნომერი	92	ფონდის შექმნის თარიღი	1840	შემოსვლის თარიღი	1920
აღწერების რაოდ.	1	საქმეთა რაოდ.	307	კიდური თარიღები	1840-1850	ძირითადი ენა	რუსული
ფონდშემქმნელი: დაარსდა სახელწოდებით „საქართველო-იმერეთის სახელმწიფო ქონების პალატა“, 1847 წელს ეწოდა „თბილისის სახელმწიფო ქონების პალატა“. გაუქმდა 1850 წელს.							
მონაპოვრის წყარო:							
აღწერების სახელწოდება:							
შენიშვნები:							

ამონაწერები, ცირკულარები, მოხსენებები, მიმონერა შემდეგ საკითხებზე: ელიზავეტოპოლის მახრამი თათართა მღელვარებები; ტყეების მოვლა და განადგურება; სამხედრო დასახლებისათვის მიწების გამოყოფა; მოსამსახურეთა მიღება, გადამაცვლება. სხვადასხვა პირის შეწყალების, დავის, ქურდობის, ქორწინების შესახებ. გერმანელი კოლონისტების დასახლება და გადასახლება; კოლონიებში სკოლებისა და ეკლესიების მდგომარეობა.

სახელმწიფო ქონების პალატის ანგარიშები, ხარჯების უწყისები.

მინათმოქმედების სამინისტროს სასამართლო და სამიჯნო საქმეთა იურისკონსულტი კავკასიაში

ფონდის ნომერი	247	ძველი ნომერი	91	ფონდის შექმნის თარიღი	1883	შემოსვლის თარიღი	1920
აღწერების რაოდ.	1	საქმეთა რაოდ.	2568	კიდური თარიღები	1883-1918	ძირითადი ენა	რუსული
ფონდშემქმნელი: დაარსდა სახელწოდებით „სახელმწიფო ქონების სამინისტროს სასამართლო და სამიჯნო საქმეთა იურისკონსულტი კავკასიაში.“ 1894 წელს ეწოდა „მინათმოქმედებისა და სახელმწიფო ქონების სასამართლო და სამიჯნო საქმეთა იურისკონსულტი კავკასიაში“, 1905 წელს – „მინათმოქმედების სამინისტროს სასამართლო და სამიჯნო საქმეთა იურისკონსულტი კავკასიაში.“							
მონაპოვრის წყარო:							
აღწერების სახელწოდება:							
შენიშვნები:							

ზაზინის სარჩელები სხვადასხვა პირის მიმართ; კერძო ხასიათის სარჩელების გარჩევა; მინის გამიჯვნასთან დაკავშირებული სადავო საკითხების გარჩევა; ამიერკავკასიის გუბერნიებში სამიჯნო სამუშაოების გეგმები.

თბილისის ზარაფხანა

ფონდის ნომერი	248	ძველი ნომერი	334	ფონდის შექმნის თარიღი	1802	შემოსვლის თარიღი	1923
აღწერების რაოდ.	1	საქმეთა რაოდ.	108	კიდური თარიღები	1802-1882	ძირითადი ენა	რუსული
ფონდშემქმნელი:							
მონაპოვრის წყარო: რეევაკუირებულია ჩრდილო კავკასიიდან							
აღწერების სახელწოდება:							
შენიშვნები:							

თბილისის ზარაფხანის მოხსენებები ფულის მოჭრის შესახებ. ვერცხლის შემოსავლისა და გასავლის წიგნები; ზარაფხანაში მოჭრილი ფულის მოძრაობის უწყისები.

თბილისის სასინჯაო პალატა

ფონდის ნომერი	249	ძველი ნომერი	292	ფონდის შექმნის თარიღი	შემოსვლის თარიღი
				1832	1923
აღწერების რაოდ.	1	საქმეთა რაოდ.	1216	კიდური თარიღები	ძირითადი ენა
				1832-1885	რუსული
